საქართ. მშრომელთა სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 5000 მან.

№ 165

ოთხშაბათი, მარტის 8

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მშრომელთა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ღრმად დამწუხარებულნი შვილები: მიხეილი, ნიკოლოზი, ელენე, მარიამი, ნინო და რძალი ანიჩკა, სიძეები გიორგი გოგოლაძე და ივანე ლომსაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, მარტის 5-ს გარდაიცვალა უსაყვარლესი და დაუვიწყარი დედა

მართა თედოს ასული

ნიკიტინისა

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, გამოსვენება სახლიდან ბელინსკი ქ. № 59 ოთხშაბათს, მარტის 9-ს დილის 10 საათზე წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში (ვერაზე) დასაფლავება იმავე ეკლესიის სასაფლაოზე.
158

სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირი აცხადებს რომ მისი წევრის ტრაგიკულად გარდაცვალებული

პოეტის

გიონ

სამანელის

დაკრძალვა დანიშნულია დღეს 8 მარტს გამოსვენება ქვაშვეთის ტაძრიდან—დილის 12 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.

ხუთშაბათს, მარტის 9-ს საღამოს 6 საათზე

ტფილისის ქალაქის აღმასკომის შენობაში

შესდგება სხდომა

ტფილისის ქალაქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა

ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა, გასარჩევ საკითხის დიდი მნიშვნელობისა და გადაუდებლობის გამო.

პრეზიდიუმი.

ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ

საბიუჯეტო კომისიისა

შემკრები ბიუროსი და მათი სარაიონო აგენტების მოქმედების განსახილველად

დანიშნული კომისია

ამით აუწყებს ყველა დაინტერესებულ კერძო პირთ, ვაჭრებს, დაწესებულებებს, ხამრეწველოებს, რომელთაც აქვთ რაიმე ცნობები, საჩივრები და პრეტენზიები ზემოდ აღნიშნულ დაწესებულებების არა კანონიერ და ბოროტმოქმედების შესახებ, რომ ასეთები პირადათ წერილობითი სახით წარმოადგინონ კომისიაში, რომელიც მოთავსებულია ოთახი № 16 ტფილისის ქალაქის აღმასკომის შენობაში (ყოფილი ქალაქის სამმართველო).

## მუშა ქალთა დღესასწაული

დღეს მუშა ქალთა დღესასწაულია. საუკუნეთა განმავლობაში დამონებული სქესი თავის განთავისუფლებას იდღესასწაულებს. ახალი ქვეყნის დასაწყისში მუშა ქალი თანასწორ-უფლებოვან წევრად დადგება მშრომელთა რაზმებში და იბრძოლებს არსებული წყობილების გარდაქმნისათვის.

დღეს, როდესაც ჩვენს წინაშე ფურცლდება ქალთა მოძრაობის ისტორიისა, ობიექტიური თვალსაზრისით შეგვიძლია შევამოწმოთ ამ მოძრაობის ხასიათი და ის ერთი გზა, რომლითაც დამონებული სქესი შესძლებს პოლიტიკურ ეკონომიურ უფლებათა მოპოებას და პიროვნული მონობისაგან თავის დახსნას.

ქალთა მოძრაობაში დიდი ადგილი უჭირავს ე. წ. ფემინისტურ მიმართულებას, რომელმაც ფართოდ გაშალა თავისი მოქმედების ასპარეზი და თითქმის ყოველ კულტურულ ქვეყანაში გაიჩინა თავისი ორგანიზაციები.

ფემინისტური მოძრაობა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკაში და სხვაგანაც ცდილობდა ქალთა ორგანიზაციების საშუალებით ბრძოლას და გამარჯვების უზრუნველყოფას.

ფემინისტური ორგანიზაციის დიდი შეცდომა ის იყო, რომ მან ვერ გამონახა ვერც ის მიზეზები, რომელნიც ამტკიცებენ ქალთა უთანასწორობას და ვერც ის ძალა, რომელსაც შეეძლო ამ მიზეზთა მოსპობა.

ქალის დამონების მიზეზს, ფემინისტური მოძრაობა მხოლოდ ვაჟის ეგოიზმში ხედავდა, ხოლო ამის საწინააღმდეგოდ ქალთა ერთ მთლიან ორგანიზაციულ ერთეულში დარაზმვას მოითხოვდა.

ამით ფემინისტურმა მოძრაობამ ვერ გაითვალისწინა ის სოციალური გარემო, რომელიც ქმნიდა ქალთა მონობის ინსტიტუტებს. მან ვერ მონახა ის ძალა, რომელიც დაამსხვრევდა ამ სოციალურ გარემოს.

როგორი შედეგი უნდა მოყოლოდა ასეთ მოძრაობას?

იგი აუცილებლად ფიასკოთი უნდა დასრულებულიყო და ასედაც მოხდა.

ქალთა მთლიანი ორგანიზაციების მყუდროობა დაარღვია კლასიურმა წინააღმდეგობამ და მთლიანი ორგანიზაციების ნანგრევებზე აღმოცენდა კლასიური ინტერესების მატარებელი ორგანიზაციები. ეს პროცესი მოხდა, როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკაში, რუსეთში და სხვ.

კაპიტალიზმის კანონებმა დაამსხვრია სოლიდური ქიმერა ფემინისტური მოძრაობისა და პოეტური ფანტაზიებით მოაზროვნე ფემინისტები, პროზიულ სინამდვილის ყინაზე დააყენა,

ამას გარდა ფემინისტურმა მოძრაობამ ვერ შესძლო ვერც ერთი დიდი ცვლილების შეტანა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, რომელიც გააუმჯობესებდა ქალთა შრომისა თუ მოქალაქეობის პირობებს.

საკუთარი ბრძოლით ქალებმა ვერ მოიპოვეს ვერავითარი უფლება და ფემინისტურმა მოძრაობამ სულის დაფვა დაიწყო. დღეს ასეთი ხასიათის მოძრაობა ევროპაში თითქმის გამქრალია და მის ალაგს იჭერს ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე ორგანიზაციები, რომელნიც შესძლებენ კიდეც, როგორც ქალთა განთავისუფლებას, ისე ყოველი დამონებულის განთავისუფლებასაც.

როგორია და როგორი უნდა იყოს დღეს ქალთა მოძრაობის ხასიათი?

ქალთა მონობის მიზეზები ყოფილ და არსებულ სოციალურ გარემოში უნდა ვეძებოთ. კაპიტალისტურმა წყობილებამ ქალთა მონობა კულმინაციურ წერტილამდე აიყვანა. მან დაანგრია ოჯახის იდილიური ხლუდენი, ქალი და ბავშვიც ჩააბა შრომის ფერხულში და იქცა მისი სულიერ-ფიზიკური ენერგიის ექსპლოატაცია. კაპიტალისტურმა წყობილებამ გააფართოვა პროსტიტუციის ფარგლები და თუ ძველად რელიგიურ და სტუმართმოყვარულ პროსტიტუციას ჰქონდა ადგილი, დღეს პროსტიტუცია განსაკუთრებულ პროფესიათ გახდა, რომლისაკენაც შეუმობლად მიერეკება არსებული სოციალ-წყობილება გადატაკებულ ქალთა წრეებს.

მაშასადამე, ქალის პიროვნების განთავისუფლება მჭიდროდ დაკავშირებულია კაპიტალისტური კულტურის ლიკვიდაციასთან. ამდენათვე ქალის განთავისუფლებისათვის გამოსადეგია ის ძალა, რომელიც მიმართულია კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ. ასეთი ძალა მუშათა კლასია. ქალის პიროვნების განთავისუფლება მუშათა კლასის გამარჯვებასთან არის დაკავშირებული.

ამიტომ ერთხელ და სამუდამოთ თავიდან უნდა მოვიშოროთ ფემინისტური ქიმერები, ქალთა მთლიანი ორგანიზაციის იდეა და ყველა მას, ვინც გულწრფელად ემსახურება დამონებული სქესის ინტერესებს უნდა მოუწოდოთ, რომ ჩადგნენ მაშვრალთა რიგებში და უსამართლობისა და მან: მის ნიადაგზე აგებული წესწყობილება დაამსხვრიონ, რომლის შემდეგ შესაძლებელი იქნება მხოლოდ ქალის პიროვნების განთავისუფლება.

ქართველი მშრომელი ქალის ხმაც უნდა შეუერთდეს ბრძოლის მოძახილს და მთლიანი მუშათა ფრონტით უნდა დაუპირისპირდეს არსებულ სოციალურ უსამართლობას.

ფემინისტური პალიატივებით საზოგადოებამ ვერ იხსნა ქალის პიროვნება და ვერც მომავალში იხსნის ანალოგიური მიმართულებანი.

მუშათა კლასის პირდაპირი ინტერესი მოითხოვს ქალის განთავისუფლებას. მუშის ცოლი, დედა და და, ნათესავი ჩაბმულია იმ ქარხანაში, რომლის შექმნილი ღირებულებით განცხრომით მოისვენებს მაღალი წრის ქალები, მათი ინტერესები ისე განსხვავდებიან, როგორც მოწინააღმდეგე კლასის ინტერესები საერთოდ.

ამიტომ კლასთა დაპირისპირებაშია ქალის პიროვნების განთავისუფლების პრობლემა. ეს პრობლემა გადაწყდება მაშინ, როდესაც მშრომელი ხალხი სრულ გამარჯვებას მიაღწევს.

ბევრი ცდილობს ქალთა ხოტბით მისი მონობის განმტკიცებას. ბურჟუაზიის წარმომადგენელნი ხშირად მიმართავენ ამ ხერხს. ჩვენ გულახდილად ვუმხელთ ქალთა წრეებს, რომ ისინი დღეს არიან, მოწმენი რომ ისინი დღეს გონებრივ ვადაცრამორჩენილნი არიან, რომ საჭიროა არა განცხრომა და ფუფუნება, არამედ ბრძოლა, როგორც საერთო მტრების წინააღმდეგ, ისე საკუთარი უკუღმართი მხარეების წინააღმდეგ.

ჩვენ გვინდა, რომ ქალებმა ერთი წუთითაც არ დაივიწყონ თავისი უკუღმართი ბედი და იბრძოლონ მის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში იგი მარტო არ არის, მასთან არის მთელი მშრომელი ხალხი, ჯანსაღი, ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლი, ახალი ქვეყნისაკენ მიმავალი.

გამარჯვება მას ეკუთვნის და მშრომელი ქალიც ამ გამარჯვებით იხეიმებს, ამ გამარჯვებით თავს დააღწევს მონურ ინსტიტუტებს.

ხერ. ამაღლობელი.

## საბედისწერო მიჯნა

ამ ჟამად მთელი ქვეყნის გულისყური მიპყრობილია გენუას კონფერენციისაკენ. ვაშინგტონის შემდეგ გენუა შეიქნა მსოფლიო ყურადღების ცენტრი. მართალია უამრავი ყრილობები გვახსოვს ჩვენ, უამრავი კონფერენციები იცის კაპიტალისტურმა სამყარომ, მაგრამ გენუა ისტორიულ მოვლენათა სულ ახალ კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს. ბურჟუაზიულმა დიპლომატიამ ვაშინგტონსა, კანში, ვერსალსა და სევრში ვერ მიაღწია თავის საბოლოო მიზანს, ვერ გაიკაფა გზა მსოფლიოს ექსპლოატაციისაკენ მიმართული. კაპიტალისტებმა ვერ გამონახეს საერთო ენა, საერთო ხაზი საკუთარ კლასიურ ინტერესების ცხოვრებაში გატარებისათვის.

რას ეძებს ბურჟუაზია? რას ეტრფის კაპიტალისტთა კლასი და რას უნდა მიაღწიოს მან გენუას კონფერენციის მოწვევის გზით? რა სახის სურათებს გადაუშლის იგი დაჭანცულ ქვეყნიერებას?

ევროპის ომმა კაპიტალისტური ქვეყანა საბედისწერო ქუჩაბანდში ჩააყენა. მან შერყია, ძირფესვიანად კაპიტალისტური კულტურა და მოუსპო მას შემდეგი განვითარების ნორმალი პირობები. კოლონიალი პოლიტიკა არ გამოდგა ბურჟუაზიულ სულისკვეთების უებარ წამლად, მდიდართა ძველი მიზნების განხორციელების საიმედო საშუალება. ოთხი წლის განმავლობაში თავგანწირულ ბრძოლების წარმოებით, ევროპიულ კონტინენტის მუშების და გლეხების სისხლით მორწყვით, იმპერიალისტებმა ვერ მოახდინეს კოლონიების გადანაწილება, ვერ შექმნეს მითიური წონასწორობა. პირიქით, უფრო გაანიავეს, დაარღვიეს „წონასწორობის“ საფუძვლები და დააკანონეს ანტაგონისტურ მიდრეკილებათა არსებობის აუცილებლობა. არც ერთი ქვეყნის ბურჟუაზია არ არის კმაყოფილი ევროპიულ ომით, არც „გამარჯვებული“, არც დამარცხებული. მისი მიზანი გაუნაღდებელი დარჩა. ასეთია ბურჟუაზია ს ბანაკში ომის მიერ შექმნილი ფსიქოლოგიური ატმოსფერა.

მაგრამ აშკარაა და ყველასათვის ნათელი ევროპიულ ომის შედეგები ეკონომიურ ცხოვრების დარგებში. ევროპის სამეურნეო სტრუქტურა იმდენად შეიშალა, რომ თვით ბურჟუაზიულ მოროვეე წრეებშიაც ნაკლებად აქვთ იმედი ეკონომიურ პირობების იმდენად არსებულ დონეზე და ხარისხამდე აყვანის და განვითარების ახლო მომავალში. აფორიაქებული მუშა ხელი იმსხვერპლა ომმა, განიავდა უამრავი სიმდიდრე, ომის ცეცხლმა გადაბუგა ბევრი ფაბრიკა-ქარხნები, ერთის სიტყვით, საგულისხმოდ შეასუსტა, შეამცირა მეომარ სახელმწიფოების მატერიალი რესურსები. მებრძოლი მხარეები ფინანსიურ კატასტროფის წინაშე წარსდგა. ომის წარმოება პირველ ორ წელს დაუჯდა:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისს— | — 15,5 მილ. მან. ოქრ. | |
| საფრანგეთს— | 16,55 | „ „ „ |
| რუსეთს — | — 14,28 | „ „ „ |
| გერმანიას | — 21,0 | „ „ „ |
| ავ.-უნგრ. | — 11,8 | „ „ „ |
| იტალიას— | — 3,6 | „ „ „ |

აღნიშნული ციფრები ეხება 1914—1916 წ. ამას მიუმატოთ კიდევ დანარჩენი ორი წლის ხარჯები და ჩვენთვის გასაგები შეიქნება მებრძოლ გოლიათების ფინანსიური გაკოტრების ინტენსივობა. უკანასკნელ სარწმუნო ცნობების მიხედვით, სახელმწიფო ვალი უდრის:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისის— | 4116,8 მილ. დოლ. ოქრ. | |
| საფრანგეთ. | 3350,8 | „ „ „ |
| რუსეთის — | 129,6 | „ „ „ |
| გერმანიის | 2456,25 | „ „ „ |
| იტალიის— | 1648,9 | „ „ „ |

ასეთია სახელმწიფო ვალების მთელი რაოდენობის მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც მართებს აღნუსხულ სახელმწიფოებს მარტო ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებისაგან. ცხადია, მეომარ მხარეების სახელმწიფო ვალები უფრო კოლოსალი რიცხვებში გამოიხატება, რომლის სისწორით გამოქვეყნება დღემდე არ მოუხერხებია ბურჟუაზიის ფინანსისტებს.

ეკონომიური კრიზისი და ფინანსიური კატასტროფა—აი რა მოუტანა ომმა დასავლეთ ევროპას. რით შეიძლება ამ უმადურების თავიდან აცილება, რა გზით და საშუალებითაა შესაძლებელი რუბიკონის გადალახვა, სამეურნეო ცხოვრების აღდგენა—განვითარება და მისი ჩვეულებრივ კალაპოტში ჩაყენება?! ამ კითხვების გადაჭრის გარშემო ტრიალებს ევროპის ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრი, ამ პრობლემების გადაწყვეტას ცდილობდა მთელი პლეადა წარსულ ყრილობებისა, ამ მიზანს ემსახურება დღესაც გენუას კონფერენცია.

ერთი მთავარი პირობა საერთაშორისო ეკონომიურ ცხოვრების ნორმალობისა არის ჩაგი მხოლოდ მაშინ. აუცილებელია სამხედრო დიქტატურიდან სამოქალაქო დემოკრატიზმისაკენ გადასვლა. ამისათვის საჭიროა: 1) შეიარაღებულ სამხედრო ძალების მინიმალი რაოდენობამდე შემცირება და 2) სახელმწიფოთა შორის ნორმალი ეკონომიური ურთიერთობის, ვაჭრობა-მრეწველობის, აღებ-მიცემობის განმტკიცება, ე. ი. ეკონომიური ბლოკადის პოლიტიკის უარყოფა, ეს „ახალი ამერიკა“ აღმოაჩინეს ბურჟუაზიის პოლიტიკოსებმა. ამ მიზნების რეალიზაციისათვის მოწვეულ იქმნა ვაშინგტონში „გამარჯვებულ“ ქვეყნების კონფერენცია. მაგრამ კაპიტალისტთა დიპლომატიურ ჭკვიანობამ ვერ მიაღწია სურვილების განხორციელებას. არც შეიარაღების და არც ეკონომიურ ურთიერთობის საკითხი არ გადაწყდა არსებითად. კონფერენციის მუშაობამაც დატოვა საქმე საფუძვლებს მოკლებული. ყველა ეთანხმებოდა განიარაღების შესაძლებლობას საზოგადოდ, ამავე დროს ყველა მოითხოვდა საკუთარ სამხედრო ძალების გამრავლება-ცხოვანების აუცილებლობას—კერძოდ ვაშინგტონი მოგვაგონებს ბაბილონის გოდოლის სახით. აი „მუშაობის“ შედეგიც. მიმდინარე წლისათვის ინგლისის სამხედრო ბიუჯეტი გამოიხატება შემდეგში (მილიონი ფრანკი ოქროთი):

| | |
|---|---|
| ხმელეთის ჯარის შენახვა | 5365,89 |
| საზღვაო ხარჯები | 4288,908 |
| საავიაციო „ „ | 970,0 |
| ჯამი | 11624,798 მილ. მარ. |

საფრანგეთის: (მილ. ფრ. ოქ.)

| | |
|---|---|
| ხმელეთის ჯარის შენახვა | 3709,84 |
| საზღვაო ხარჯები | 844,0 |
| საავიაციო „ | 255,0 |
| ჯამი | 4808,84 მილ. მარ. |

გასულ 1921 წ. ინგლისის სამხედრო ბიუჯეტი უდრიდა 8996,5 მილ. ფრ. ოქროთი. საფრანგეთის—2970,86 მილ.

ფრ. ოქროთი. როგორც ვხედავთ, მიმდინარე წლისათვის პირველის სამხედრო ბიუჯეტი გაიზარდა 2,628,298,000 ფრ. ხოლო მეორისი—1,837,980,000 ფრანკით. მაშასადამე, ვაშინგტონის კონფერენციის შემდეგ კი არ შენელდა კაპიტალისტურ სახელმწიფოების მარიდაზმისა და მილიტარიზმისადმი ლტოლვა, პირიქით, უფრო განვითარდა და მიიღო არა ნორმალური ხასიათი.

არც სახელმწიფოთა შორის ნორმალი ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენას მიაღწია ბურჟუაზიულ დიპლომატიამ ვაშინგტონში. მისი დიდი შეცდომა გამოიხატა რუსეთ-გერმანიის მოუწვევლობაში კონფერენციაზე. „დამარცხებულ" ქვეყნების ინტერესების იზოლიაციამ კაპიტალისტური ქვეყანა კვლავ მოაქცია ჯადოსნურ წრეში. ბურჟუაზიამ არ შეიგნო ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ რუსეთ-გერმანიის აქტიური მონაწილეობის გარეშე უტოპიაა ევროპის დანგრეულ სამეურნეო ცხოვრების აღდგენა.

კერძოთ რუსეთს დიდი მნიშვნელობა აქვს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ წარმოებისათვის. რუსეთი ნედლი მასალის რეზერვუარია. ნედლი მასალა ევროპის ბურჟუაზიულ წარმოებას რუსეთმა უნდა მიაწოდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპის კაპიტალიზმი ასცდება განვითარების საიმედო ლიანდაგს. რუსეთში კაპიტალისტური მეურნეობას კულტურა არ განვითარებულა უმაღლეს დონემდე. ამიტომ რუსეთის ინტერესიც მოითხოვს ნედლი, დაუმუშავებელი მასალის საზღვარ-გარეთ გატანას და დამუშავებულის შემოტანას. აქედან წარმოსდგება რუსეთ ევროპის დაახლოების, ეკონომიურ შეთანხმების აუცილებელი საჭიროება. რევოლუციურ რუსეთს ინგლისმა ეკონომიურ ბლოკადით უპასუხა. რუსეთმა აიტანა ბლოკადა, ინგლისმა კი ვერ შესძლო მისი ლოღიკურ დასკვნამდე მიყვანა. რატომ? იმიტომ, რომ ინგლისის მრავალი ქარხანა ნედლი მასალას მოითხოვდა. ნედლი მასალას ინგლისი უმთავრესად ახალშენებიდან და რუსეთიდან ღებულობდა. კოლონიალი ქვეყნებში საკუთარ ეროვნულ წარმოების და მრეწველობის განვითარებამ ინგლისის ინდუსტრია მოსწყვიტა ნედლი მასალის ბაზისებს. ამ ნაირად მწვავე იყო ინგლისის კაპიტალიზმის მდგომარეობა. რუსეთთან კავშირის გაწყვეტით უფრო გამწვავდა იგი. მისი შემდეგი განვითარება ინგლისის ბურჟუაზიას ლოღიკურის აუცილებლობით „ეროვნულ საფრთხის" წინ დააყენებდა. ამიტომ იძულებული შეიქნა ლოიდ ჯორჯი რუსეთთან სამშვიდობო ენით დაეწყო ლაპარაკი... მოკლედ, რამდენად რუსეთისათვის საჭიროა ევროპა, იმდენად (უკეთ რომ ვსთქვათ—გაცილებით მეტად). ევროპისათვისაც აუცილებელია რუსეთთან დაკავშირება, მასთან ეკონომიური ურთიერთობის გაჩაღება.

ყოველივე ეს „შეგნებული" აქვთ გენუის კონფერენციის პიონერებს. გენუაში უფრო ფართოდაა დასმული საკითხი. იქ მოწვეულია გერმანია და რუსეთი. ამ რიგად, ვაშინგტონში ჩადენილი შეცდომები გამოსწორებულად და ამოწურულად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, გენუის კონფერენციის მუშაობის შედეგები თავის დანიშნულებით შედარებით ნაყოფიერი და საქმიანი იქნება.

მაშ რა მიმართულებას მიიღებს ევროპის ცხოვრების ვითარება ახლო მომავალში? რა სახის გარდატეხა მოხდება საერთაშორისო პოლიტიკაში?

ანტანტასა და რუსეთს შორის არსებული წინააღმდეგობა ახალ ფორმაში გვევლინება; იგი იღებს ფართეთ, კონსპირატიულ გამომეტყველებას. ორივე მებრძოლი მხარე ბრძოლის ახალ ფაზისში შედის. ეს ფაზისია დიპლომატიური მოლაპარაკების, დიპლომატიურის გზით და ფანდებით საკარსებო ინტერესების რეალიზაციის. თანამედროვე მომენტი არსებითად კომპრომისულია თავის ბუნებით ორივე მებრძოლი ძალა სდგას შეთანხმების ნიადაგზე. ანტანტა იძულებულია ანგარიში გაუწიოს რუსეთის სამხედრო ძალას და სახელმწიფოებრივ ძლიერებას. ეს რევოლუციის დიდი პლიუსია. გენუაზე მოწვევა უდრის რუსეთის იურიდიულად ცნობას. ამ შემთხვევაში მტკიცდება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა.

მეორეს მხრით, რუსეთ-გერმანიასთან თანამშრომლობით ანტანტა დააღწევს თავს კატასტროფიას სამეურნეო დარგში. რუსეთ-ევროპის ეკონომიურ ძალების კონდენსაცია აუცილებლად შექმნის ევროპისათვის წარმოების შესაძლებლობას და მისი განვითარების პირობებს. კაპიტალისტური მეურნეობა კვლავ დაადგება რენესანსის გზას, იგი აღორძინდება უსათუოდ. ერთის სიტყვით ევროპა აიცილებს იმ დანაკლისს, ზარალს, რომელიც მიაყენა მას იმპერიალისტურ ომმა.

ბურჟუაზიული წარმოების განახლება კაცობრიობას დაუსახავს ახალ საშინლებას, კაპიტალიზმის განვითარება თან ატარებს თავის საზოში იმპერიალისტურ პოლიტიკის წარმოების აუცილებლობას, ასე რომ ჩვენ მუდამ უნდა ველოდეთ უფრო გრანდიოზული და სამსოფლიო მასშტაბით ბურჟუაზიულ ომებს, მშრომელთა კლასის სისხლის ოკეანებს. ევროპიულ ომის ისტორია განმეორდება, მაგრამ გაცილებით მეტის სისასტიკით, მსხვერპლით, ხარჯებით და ურიცხვ მშვიდობიან დაბა-ქალაქების, კიდევ მეტი—მთელი სახელმწიფოების „დანგრევა-განადგურებით, დედამიწის ზურგიდან სამუდამოდ აღგვით. საშინელი იყო წარსული ომები. უუსაშინელესი იქნება შეიარაღებულ სახელმწიფოების მომავალი შეტაკება, კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული კულტურა ცივილიზაციის განადგურების პირობაა. ომი—დაცემა-აყვავება, კვლავ ომი—დაცემა-აყვავება, აი მთელი რაობა კაპიტალიზმის შინაბუნების, აი მისი დიალექტიკა, ფილოსოფია. ომი აუცილებელი შედეგია კაპიტალისტურ მსოფლიოსი. აქ მართლდება პრინციპი perpetuum mobile-სი.

აშკარაა, გენუის კონფერენცია კულტურულ მსოფლიოს აყენებს ახალ საბედისწერო მიჯნაზე. უკან, კაპიტალიზმის აღდგენისაკენ, ე. ი, ომის კოცონის დანთებისაკენ მომავალში,—ასეთია კონფერენციის ლოზუნგი. წელში მოხრილი ანტანტის სახელმწიფოები მიმართავენ მესვენების პოლიტიკას. ეს ხერხია ბურჟუაზიულ დიპლომატიის, ანტანტა მიდის კაპიტულიაციის გზით რუსეთის წინაშე, იგი უარყოფს საბჭოთა რესპუბლიკებთან იარაღით, „ტანკებით" ბრძოლას. მაგრამ ამავე დროს სცდილობს მოაწყოს რიგოს „საშინაო მდგომარეობა, წელში გაიმართოს და გაერკვეულის ეხერგიით გადავიდეს შეტევაზე.

რევოლუციურ რესპუბლიკებს მართებს დიდი წინდახედულობა, პოლიტიკური ინტუიციის გამოჩენა. ყოველ დროსა და გარემოებაში ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, ველოდეთ ახალ საფრთხეს, ბრძოლის ახალ [illegible]. ვიმეორებ: ხალხებთან მშვიდობას, მხოლოდ ზავს, მოწინააღმდეგე სახელმწიფოების ინტერესების უთანხმოება გენუის კონფერენცია ვერ აღადგენს, ვერ განამტკიცებს. პირიქით, იგი მისცემს საწყისს საერთაშორისო ომების გიგანტიურ ეპიზოდებს, ცივილიზაციის მოსპობა-განადგურების აუცილებლობას.

არსებობს მხოლოდ ერთი გზა კაცობრიობის კულტურულ და ეკონომიურ კეთილდღეობისაკენ მიმართული. იგია გზა მსოფლიო კაპიტალიზმის ძლიერი ტახტის დამხობის, ბურჟუაზიის ბატონობის მოსპობის, ერთის სიტყვით, გზა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის, რომლის მთავარი შტაბი იმყოფება არა ვაშინგტონსა და გენუაში, არამედ მოსკოვში.

დიახ, ქვეყანა ახალ საზღვარზე იმყოფება: ან უკან—რეაქციისა და მონობისაკენ, ან წინ—რევოლუციისა და თავისუფლებისაკენ. ასეთია ორი პოლიუსი რომელიც გენუით იწყება და თავდება მოსკოვით.

გ. მუშიშვილი.

## ახალი ამბები

— ხახადი და ყვავილი. თებ. 23 ქალაქის საავადმყოფოებში ირიცხებოდა: სახადით ავადმყოფი—168, ყვავილით—11. ერთი კვირის განმავლობაში, 23 თებ. 1 მარტამდე, ქალაქის საავადმყოფოებში ჩაითვალა 50 ავადმყ. სახადით და სახლში რეგისტრაციაში გატარებულია 9, მოკვდა 5 და მარტის პირველს ითვლებოდა 173 ავადმყოფი. ამავე დროს მიღებულ იქმნა საავადმყოფოებში 2 ავადმყოფი ყვავილით და სახლში რეგისტრაციაში გატარდა 1. საავადმყოფოდან გაიწერა 3, მოკვდა 1.

— მალაკნების გადასახლება. საქართველოს ცენტრალური საევაკუაციო განყოფილების დადგენილებით, ახალციხის მაზრიდან ლაბინსკაია-ში (კუბანის ოლქი) გადასახლებულ იქნება 30 კომლი მალაკნებისა, საერთო რიცხვით 160 სული. გადასახლებული მალაკნები არიან მცხოვრებნი არდაგანის ოლქისა, რადგანაც იმ მიდამოების თათრების ძიერ დაკავების შემდეგ, დაახლოვებით ივნისში 1921 წ. დროებით გადმოესახლენ ახალქალაქის მაზრაში, საიდანაც ეხლა ყოველგვარ ინვენტარით ესახლებიან ხსენებულ ოლქში.

— მკვლელობა. კვირას, 5 მარტს ღამის 11 საათზე რუსთაველის პროსპექტზე გამვლელნი შეშფოთებულნი იქმნენ სროლით. როგორც გამოირკვა სროლის მიზეზი იყო შოთა მგალობლიშვილი, რომელმაც სიმთვრალეში აუტეხა სროლა მილიციელებს. სროლის დროს ხსენებული შოთა მგალობლიშვილი იქმნა მოკლული.

— რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა [illegible] გამგეობა, [illegible] დღევის პირველ საათზე, კავშირის სასადილოს დარბაზში (პლეხანოვის პროსპ. № 83) იწვევს კავშირის წევრთა საერთო კრებას. დღის წესრიგი: 1. გამგეობის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3. ომში დასახიჩრებულთა მდგომარეობა. 4. წითელ არმიელთა სექციის მოხსენება. 5 კავშირის უფლებრივი მდგომარეობა. 6. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. 7. მიმდინარე საკითხები.

— საფონდო ბირჟა. მარტ. 4 საფონდო ბირჟაზე უცხო ვალიუტის კურსი გამოიხატება შემდეგში: (ათ. მან.)

| | |
|---|---|
| ოქრო ოსმალეთის | 835 |
| ლირა ოსმალ. ქაღ. | 175-185 |
| „ იტალიანური | 11-11,5 |
| სტერლინგი | 900 |
| დოლარი | 280-235 |
| გერმანული მარკა | 1,05 |

მოთხოვნილება ნაკლებია.

## რუსეთი

მოსკოვი. 4 მარტი როკფელერის ინსტიტუტმა ამერიკაში, გამოგზავნა რუსეთში მეცნიერების მუშაკთათვის 5,000 ოთხფუთიანი ამანათი სანოვაგით. შემდეგშიაც ინსტიტუტს განზრახვა აქვს გაუგზავნოს ყოველთვიურად 10,000 მდე ასეთი ამანათი, მეცნიერთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელმა ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა ამანათების პირველი პარტია გადასცეს დამშეულ გუბერნიების მეცნიერ მუშაკთ.

რუსეთის სამეურნეო პოლიტიკა
(ამხ. ლენინის სიტყვა)

სურსათი, ფინანსები, წარმოება და სოფლის მეურნეობა რესპუბლიკებისა, აი მთავარი ძაფები ამხ. ლენინის მოხსენებისა. ამხ. ლენინი იწყებს სახელმწიფო აპარატის ყველა დარგების ძლიერ შემცირებაზე მითითებით. 1921 წლის სექტემბერში სახელმწიფოს სრულ რჩენაზე ითვლებოდა 9,250,000 კაცი, 1922 წლის 1 თებერვლისათვის 6,260 ათასი კაცი, 1 აპრილისათვის კი დაა-

# საბჭოთა სისტემა და ჩვენი პარტია

ამ რამდენიმე დღის წინეთ, საქართველოს დედა ქალაქში შეიკრიბა სრულიად საქართველოს საბჭოების პირველი ყრილობა. ჩვენ ამ ყრილობას მივესალმეთ წრფელის გულით და აღვნიშნეთ მისი დიდი ისტორიული ღირებულება. თებერვლის 25-დან საქართველოში ყალიბდება და მტკიცდება მშრომელ დემოკრატიის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მშრომელი კლასის ხელში გადასვლით დამთავრა ჩვენი წარსული ისტორიული ცხოვრების ერთი დიდი ხანა და საფუძველი ჩაეყარა ახალ ისტორიულ პერიოდს, ახალი კულტურული მონაპოვრისა და ღირებულებით აღსავსე.

ჩვენმა პრესამ ეს ახალი ხანის დასაწყისი, ეს ახალი აქტი ჩვენი ცხოვრებისა აღნიშნა და პარტიულ რაზმებს მოუწოდა ყრილობის გარშემო თავის მოყრა და მასთან ერთად აქტიური ჩაბმა საბჭოთა მშენებლობის პროცესში. მთავარი კომიტეტი და ყრილობის ფრაქცია მხურვალედ მიეგება ყრილობის გახსნას და მშრომელთა დიქტატურის გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბების დღე აღნიშნა, როგორც დიდი ისტორიული მოვლენა ჩვენი ერის ცხოვრებაში.

ამ გვარად ჩვენი პოლიტიკური ხაზი და პრინციპიალური დამოკიდებულება საბჭოთა სისტემისადმი სავსებით გარკვეული და ნათელია. ჩვენ ვდგევართ საბჭოთა სისტემის ნიადაგზე და სოციალიზმისაკენ მივდივართ მშრომელთა დიქტატურის გზით. ეს ჩვენი დამოკიდებულება და შეხედულება საბჭოთა სისტემაზე ახალი არ არის და ამ საკითხების შესახებ სისტემატიურად ვსწერდით და ვარკვევდით ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, თითქმის ერთი წლის განმავლობაში.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მემარჯვენე სოციალისტები და მათ შორის განსაკუთრებით ჩვენი ყოფილი ამხანაგები საპასუხისმგებლო ბრალდებებს გვიყენებენ: ჩვენმა მემარჯვენე სოციალისტებმა, როგორც ვიცით, ხელაღებით ომი გამოუცხადეს საბჭოთა სისტემას და [illegible] ძველი გზით მიემართებიან შრომის სამეფოსაკენ (ფაქტიურად კი ძალი გზა ანტანტისა და კაპიტალიზმის აღიარებამდე დავიდა). საბჭოთა სისტემა, მშრომელთა დიქტატურა მიუღებელი შეიქმნა მენშევიკებისა და მემარჯვენე ფედერალისტებისათვის. უკანასკნელმა სცადა შეცვლის პოლიტიკა ეწარმოებინა საბჭოების მიმართ და თავის ცნობილ რეზოლიუციაში აღიარა, რომ „მშრომელი ხალხის სამსახური საბჭოთა სისტემის საშუალებითაც შეიძლებაო". როგორ მოგვწონს პოლიტიკური პარტიის ასეთი განცხადება და დიდი კარდინალური კითხვის „ც"-თი გადაწყვეტა? ჩვენთვის ეს ნათლად ამჟღავნებს მემარჯვენეების სოციალ იდეურს გაკოტრებასა და დაცემას. საბჭოთა სისტემა ერთი უდიდესი ისტორიული გზა არის სოციალური ტრანსფორმაციისათვის, ამის საწინააღმდეგო გზას წარმოადგენს ცნობილი რეფორმისტების გზა: „დემოკრატიული საშუალებით". სოციალისტური აზროვნება სოციალური ტრანსფორმაციის საშუალებების კვლევა-ძიების პროცესის დროს ამ ორ დიამეტრალურად საწინააღმდეგო გზებამდე მივიდა და ამა თუ იმ გზის აღიარება არსებითად სადემარკაციო ხაზს უსვამს სოციალისტურ მიმართულებათა შორის. სხვა გზები დაფარა ამ ორი სისტემის ბრძოლის დრომ და მსოფლიოს სარბიელზე მხოლოდ ისინი მოჩანან. ასეთ პირობებში გამოდის პოლიტიკური პარტია და გვეუბნება: ამითაც შეიძლება მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა და იმითაც, რასაკვირველია, ჩვენ ერთი წუთითაც არ გვინდა პარტიული ქინიახობით დავფაროთ სადავო საკითხები, მაგრამ ამავე საკითხების ნათელყოფა გვაიძულებს ისეთს კითხვებს შევეხოთ, რომელნიც ნათელს ყოფენ ჩვენი ყოფილი ამხანაგების იდეურს კონსერვატიზმსა და გაკოტრებას.

ერთი მთავარი ბრალდება, რომლითაც ისინი გამოდიან ჩვენს წინააღმდეგ, არის ის, რომ ჩვენ დავარღვიეთ პარტიული პროგრამის მთავარი მუხლი საბჭოთა სისტემის აღიარებით და არსებითად შევცვალეთ მისი შინაარსი. ასეთი ბრალდება თავისთავად იბადება მას შემდეგ, რაც რომ მათ დროებით მაინც აღიარეს საბჭოთა სისტემის სარგებლიანობა მშრომელი ხალხისათვის თავისას რევოლუციაში. მაგრამ ჩვენ სიამოვნებით ვღებულობთ ამ ბრალდებას და ვადასტურებთ, რომ საბჭოთა სისტემის მიღებით, ჩვენ საკმაო ბაზისის რევიზია მოვახდინეთ პარტიულს პროგრამაში. ამაში ჩვენ ვხედავთ ჩვენი პარტიის დიდ ხიბიკა და ღირებულებას. ეს არ არის უცბად მოფიქრებული და შემთხვევით ფაქტის შედეგი. სოციალისტ-ფედერალისტთა ძველს პარტიულ შემადგენლობაში, რაც რომ ჩაისახა მემარცხენე პარტიული ელემენტები თანამედროვე რევოლუციის პროცესში, ერთის მთავარი სადავო საკითხი შეადგენდა საბჭოთა სისტემაც. საბჭოთა სისტემა, როგორც მშრომელთა ბატონობის, ახალი ტიპის სახელმწიფოს თეორიულად მოცემული პოლიტიკური ფორმა, თანამედროვე რევოლუციამ წამოაყენა არსებითად. ძველი პარტიის მემარცხენე ფრთამ შეხედულად ახრთავა ახალი მიმდინარე ცხოვრების და საბჭოთა სისტემაში დაინახა უდიდესი იარაღი მშრომელთა განთავისუფლებისა: დიდი სოციალური ტრანსფორმაციის მოსახდენად.

საბჭოთა სისტემის საკითხი ეხება განსაკუთრებით სოციალისტურ საზოგადოებაში გადასვლის საშუალების საკითხს. როგორი გზით არის შესაძლებელი კაპიტალისტური მეურნეობის აღმოფხვრა და სოციალისტური ურთიერთობის შექმნა? ამ კითხვაზე გადაჭრილს პასუხს იძლევა საბჭოთა სისტემა, რომელიც ისტორიული ფორმა არის მშრომელთა დიქტატურისა. ამ სისტემის სოციალ-პოლიტიკური საფუძველი კონკრეტულად ჰქმნის სოციალიზმისათვის ნიადაგს.

მაგრამ საბჭოთა სისტემა აგრეთვე სახელმწიფოს საკითხსაც სწყვეტს თავისებურად. ის ახალი ტიპის სახელმწიფოა; მშრომელთა კლასის სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ამგვარად საბჭოთა სისტემა კვლავ აყენებს ჩვენს წინ სახელმწიფოს საკითხს და მის გადაწყვეტას ახალ შინაარსს და ფორმებს აძლევს.

როგორი როლი შეუძლია ითამაშოს სახელმწიფომ საზოგადოთ სოციალურს ტრანსფორმაციის დროს? ასე იდგა ძველად საკითხი და მას გადაჭრილ პასუხს აძლევდა მხოლოდ ორი მიმდინარეობა: რეფორმიზმი და ანარქიზმი. პირველი იდგა სახელმწიფოებრივს ნიადაგზე და სახელმწიფოში ხედავდა შრომის უმაღლეს რეგულიატორს; მეორე პრინციპიალურად უარყოფდა სახელმწიფოს ყველგან და ყოველს პირობებში. რეფორმიზმი არსებითად იდგა პარლამენტარიზმის ნიადაგზე და სოციალისტურ საზოგადოების შექმნას პარლამენტის საკანონმდებლო აქტით ფიქრობდა. ანარქიზმი დაუპირისპირდა ამ მოძღვრებას მთელი თავისი ანტი-პარლამენტური და რევოლუციონური შინაარსით. სახელმწიფო, როგორც ძალდატანების ინსტიტუტი, უარყო ანარქიზმმა ყოველს პირობებში და მის ნაცვლად მუშათა საწარმოო ორგანიზაციების თავისუფალი კავშირები წამოაყენა.

ასე რადიკალურად იდგა საკითხი წარსულში. რეფორმიზმი და ანარქიზმი წარსულში იდგნენ ერთი მეორეს წინააღმდეგ როგორც შეურიგებელი ანტიპოდი; აქედან საკანონმდებლო აქტი და რევოლუციაც შეურიგებელს მდგომარეობაში იყვნენ.

საბჭოთა სისტემამ ძირიანი შესწორება შეიტანა საკითხში და სახელმწიფოს პრობლემის გადაწყვეტას ახალი შინაარსი მისცა, რომელიც უარყოფს, როგორც რეფორმიზმის შეხედულებას სახელმწიფოზე, ისე ანარქისტულს გაგებას რევოლუციონური მოძრაობაზე.

საბჭოთა სისტემის წამოყენებით სახელმწიფოს საკითხმა ახალი სახე მიიღო და ამით სოციალისტურს აზროვნებაში დიდი შესწორება იქმნა შეტანილი. საბჭოთა სისტემა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების რესპუბლიკა რევოლუციონური მოძრაობის პირმშო შვილია, იგი იშვა დიად სტიქიურს მღელვარების მომენტში; ეს ფორმა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა მუშათა კლასის აქტივიზმისა და მისი რევოლუციონური შემოქმედების ნაყოფია.

სოციალისტური აზროვნებისათვის ერის მთავარს საძნელო საკითხს შეადგენდა კაპიტალიზმიდან კომუნისტურ წესწყობილებაში გადასასვლელ საშუალებების გამომუშავება. სოციალისტურმა პარტიებმა ჩვენ მოგვცეს დამთავრებული შეხედულებანი კაპიტალისტური სისტემისა და მისი ატრიბუტების შესახებ, აგრეთვე გაშუქებული და დამთავრებული—კომუნისტური წყობილების საფუძვლები. მაგრამ სრულებით გაურკვეველი და გამოუმუშავებელი იყო ის ზომა და გზები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ერთი მეურნეობიდან მისი საწინააღმდეგო მეურნეობაში გადასვლა. საბჭოთა სისტემა, როგორც განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდის სოციალ-პოლიტიკური წყობილება, სწორედ ამ საკითხს სწყვეტს დადებითად და ერთხელ და სამუდამოდ დამთავრებულ პროგრამას გვაძლევს კაპიტალიზმის აღმოსაფხვრელად და სოციალისტური კულტურის შესაქმნელად. ასეთი დიადი გარდაქმნა ძველი სოციალური წყობილების რაციონალურს საფუძვლებზე ხდება ხანგრძლივი რევოლუციონური შემოქმედების პერიოდში, რომლის სოციალ-პოლიტიკური შინაარს მშრომელთა დიქტატურა საზღვრავს.

როგორის საშუალებით ხდება სოციალური ტრანსფორმაცია? და როგორ როლს თამაშობს ამ პროცესში სახელმწიფო?

სახელმწიფო ყველგან და ყოველთვის კლასიური მოვლენა იყო. იქ, სადაც არსებობს კლასიური საზოგადოება, სახელმწიფოს ნიადაგიც არის. იგი არის კლასიური ორგანიზაცია და მისი პირმშო შვილი. როდესაც მოისპობა კლასიური საზოგადოება ეს გარემოება გამოიწვევს სახელმწიფოს, როგორც ძალდატანებითი ორგანიზაციის ლიკვიდაციას. სოციალისტურს არმიას არ ძალუძს ერთის ხელის დაკვრით კლასიურ საფუძვლებზედ აგებულ საზოგადოების მოსპობა. ამისათვის საჭიროა ხანგრძლივი პერიოდი რომლის დროსაც მშრომელმა კლასმა შეიარაღებულის ძალით უნდა დაიცვას თავისი მონაპოვარი. მშრომელთა არმიის დარაზმვა და მისი ფართოდ შეიარაღება, მოწესრიგება შესაძლებელი ხდება მხოლოდ სახელმწიფო აპარატის საშუალებით. ამ გვარად მშრომელთა კლასისათვის აუცილებელი საჭირო ხდება სახელმწიფოს მთელი თავისი ფუნქციებით დროებით გამოყენება თავისი მიზნებისათვის. გარეშე ამ აპარატისა პროლეტარიატს არ შეუძლიან პოლიტიკური ბატონობა და დიდი სოციალური ტრანსფორმაციის მოხდენა. ეს ნათლად და ყველასათვის გასაგონად დაამტკიცა რუსეთის რევოლუციის თანამედროვე ვითარებამ.

მაგრამ კითხვა იბადება: როგორი სახელმწიფოთი უნდა ისარგებლოს მშრომ-

...ები 4,500,000 და კიდევ 1 მილიონ ...ამდე, რომელნიც ადგილობრივი საწარმოების ხარჯებზე არიან გაყვანილ. ამრიგად შემოკლებულია 4 მილ. ...ფრთხილად გლეხური და წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები, რომელნიც ამხ. ლარინის გამოთქმით იყვნენ სახელმწიფოს „სოციალურ უზრუნველყოფაზე". ...ს შემოკლება მოგვცემს რეალურ საშუალებას გავაუმჯობესოთ დარჩენილთა მდგომარეობა. ამხ. ლარინს მაგალითად მოყავს პიტერის ტყავის წარმოება, სადაც შრომის ხელფასი იმავდე ...სებული 20 მანეთიდან ავიდა 42 მანეთამდე. მეორე დასაწყისი ჩვენი სამეურნეო პოლიტიკის არის ნატურალური მეურნეობიდან გადასვლა ფულის ტრიალზე. თუმცა ნატურალურ გადასახადებზე, საზოგადოთ, ჩვენ უარს არ ვამბობთ, მხოლოდ ვამცირებთ მას.

ამნაირად 1920 წელში ნატურ გადასახადი უდრიდა 500 მილიონ ფუთს, ეხლა კი 380 მილ. ფუთს, და განზრახულია მისი შემცირება 300 მილიონ ფუთამდე.

ეხება რა წარმოებას ამხ. ლარინი ამბობს, რომ მის ნაყოფიერობა 1919 წელში უდრიდა ომამდე არსებულის 1,7 და 1,8 პროცენტებს, 1920—21 წ. წ. ის აიწია 2—3 პროც. ახლა კი ომამდე არსებულის 20 პროცენტამდე. ...ოვიერთი წარმოებაში. მაგ. დონის მაღაროებში, სამხრეთის ფოლადის ჩამომსხმელ ქარხნებში შრომის ნაყოფიერებამ მიაღწია ომამდე არსებულ ნორმამდე დამალულ ოქროს, დაახლოებით 400 მილიონი მანეთის და ...სხვა და სხვა ძვირფასეულობის ამოსაქაჩავად, აქ ახლო დღეებში რესპუბლიკის ყველა მცხოვრებლებს ნება მიეცემა თავისუფლად შეისყიდონ საზღვარგარეთ ხილეული. ფოტოგრაფიული, ჩაი, შაქარი და სხ, შეჩერდა რა თვითრკვარტიულების პრესის ცხობებზე კომუნისტური პარტიის უთანხმოების შესახებ, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის საკითხებში, ამხ. ლარინი ამბობს, რომ თეთრგვარდიელები თავს ინუგეშებენ ტყუილებით. საბჭოთა უფლების ფარგლებს მაინც ისინი სთვლიან სისუსტეთ, და ჩვენს დაღუპვას. „ისინი მოტყუვდებიან, როგორც ყოველთვის ახალი ეკონომიური პოლიტიკა, დაასკვნის ამხ. ლარინი, —მტკიცედ დგას და ახალი მანევრით ჩვენ არ მოვტყუვდებით, როგორც არ მოვტყუვდით შემარცხენე ესერების ბლოკში და ბრესტის დღეებში!

# უცხოეთი

## გენუას გარშემო

ნაუენი. 4 მარტი „ვესტმინსტერ გაზეთი" იტყობინება, რომ გენუას კონფერენცია გაიხსნება არა უადრეს აპრილის 25-სა. ანტანტას არ მიაჩნია შესაძლებლად გახსნას კონფერენციის მუშაობა აღდგომის დღეებში.

რომი. 4 მარტი, სასწრაფოდ სრულდება ყველა ტექნიკური წინასწარი მუშაობანი გენუას კონფერენციის გახსნისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია შარა გზების შეკეთებაზე ავტომობილებისათვის და დამოკიდებულების მდგომარეობის გაუმჯობესებლად. ბინები დელეგატებისათვის მზად არის.

## საერთაშორისო კომისია და რუსეთის საკითხი

მოსკოვი. 6 მარტი, პარიზიდან იუწყებიან, რომ საერთაშორისო კომისიის მუშაობანი გენუას კონფერენციის მოსამზადებლად, დამთავრებულა. თათბირის უმთავრესს საგანს შეადგენდა რუსეთის საკითხი, მასთანავე თათბირი შეეხო რუსეთის განაპირა ადგილების გამოცოცხლებას, მაგ. არხანგელის გუბ. რომლის ტყის სიმდიდრის საექსპლოატაციოდ უკვე შემდგარია ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის სატრანსპორტო საზოგადოებანი, აგრეთვე დონეცის ოლქის ადსადგენად, რომელიც მდიდარია ქვანახშირით და ხამშირით, აღდგენა პეჩორის ყუბანის ოლქისა და კავკასიის ნავთის მრეწველობისა.

## ანგორა და გენუა.

ანგორა. 15 თებ. ანგორის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ანგორის წარმომადგენლობამ პარიზში მიმართა იტალიის მთავრობას შემდეგი შინაარსის დეპეშით: „გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ოსმალეთი, რომელიც მდებარეობს ხმელთა შუა ზღვის სანაპიროებზე, არის არსებითად ევროპიული ქვეყანა. სავაჭრო ურთიერთობის ძალით, ოსმალეთი ისტორიულად იყო ყოველთვის დაკავშირებული ევროპასთან და არც ერთს ისტორიულს პერიოდში არ განცალკევებულა ევროპისაგან. ამან მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ ოსმალეთი ყოველთვის იყო განუწყვეტელ სავაჭრო და პოლიტიკურ ურთიერთობაში ევროპის მთავრობებთან. ეს აძლევს მას უფლებას მოითხოვოს, რომ იყოს მიწვეული გენუას კონფერენციაზე. ევროპის მთავრობების უარყოფა მიიწვიონ ოსმალეთი, როგორც გენუას კონფერენციის მონაწილე ძლიერ უსამართლობა იქნება. ოსმალეთის დიდი ნაციონალური საბჭოს მთავრობა გამოსთქვამს თავის აღშფოთებას სრულიად ევროპის დასავლეთის გამო, რომელსაც მიზნად აქვს აღადგინოს ევროპა თვით ხალხის ძალებით. მასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ოსმალეთის არ მიწვევა სრულიად ევროპის კონფერენციაზე იქნება აშკარა დანაკლისი კონფერენციის მუშაობაში, ეს კი მიგვიყვანს იქამდე, რომ რეზულტატი კონფერენციის იქნება ნაკლები სასარგებლო. ოსმალეთი, რომლის ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა უნდა იქნეს დაკანონებული, მზად არის ევროპის მთავრობებთან ერთად შესწიროს თავისი ძალა მშვიდობიანობას და შრომას, გარდაიქცეს ერთ მდიდარ და მშვიდობიან ქვეყნად, დამოუკიდებლობისა და კეთილშობილებისა, ამასთან ერთად შეიქმნეს ევროპის კულტურის ერთ ელემენტად".

— იმავე ანგორის გაზეთების ცნობით, ამ მიმართვის საპასუხოდ, განუცხადეს ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელს, რომ ოსმალეთი „შეუძლებელია მიწვეულ იქნეს სრულიად ევროპის კონფერენციაზე, თუ გინდ იმ მოსაზრებით, რომ არ არის გამორკვეული, თუ ვინ არის არსებითად სრულ უფლებიანი წარმომადგენელი ოსმალეთის ხალხისა: ანგორა თუ სტამბოლი".

# სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა

(მეექვსე სხდომა მარტის 1-ს)

თავმჯდომარეობს ამხ. მამულია; ხმის უმეტესობით გადაწყდა არ გაიხსნას კამათი ამხ. სვანიძის მოხსენების შესახებ. მომხსენებელი უპასუხებს მთელ რიგ შეკითხვებზე, რომელნიც ეხებიან ჩვენს ფინანსიურს მდგომარეობას.

ამხ. ბ. კვირკველიას მოხსენება. ამხანაგებო! შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უმთავრეს მოვალეობას, როგორც თქვენ იცით, შეადგენს საბჭოთა აღმშენებლობა, თუ როგორ უნდა მოეწყოს ადგილობრივ და ცენტრში ხელისუფლების ორგანოები. დაწვრილებით ანგარიში კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ, დაბეჭდილია და დელეგატებსურიგდება. ამისათვის აქ არ შევუდგები იმის განხილვას, თუ როგორ არის მოწყობილი ეს კომისარიატი, რა და რა სამმართველოები და განყოფილებები არსებობს, რა ბრძანებები, დებულებები და სხვა განკარგულებები იყო გამოცემული, ვინაიდგან ეს ერთის მხრივ მეტად მოსაწყენი იქნება და მეორე მხრივ, ასეთი დაწვრილებითი ანგარიშები კომისარიატის შესახებ უნდა წარუდგინოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. მე დავალებული მაქვს მოგახსენოთ საბჭოთა აღმშენებლობის საკითხზე. სანამ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების კონსტიტუციის შესახებ მიღებული პროექტის კითხვას შევუდგებოდე, ნება მომეცით მოგახსენოთ: როგორ და როგორ პირობებში ჩაისახა საბჭოთა ხელისუფლების იდეა და რა სტადიები განვლო ამ ხელისუფლებამ თავის განვითარების და ჩამოყალიბების პროცესში. ჩვენ ვიცით ამხანაგებო, რომ საბჭოთა ხელისუფლება—ეს არის სახელმწიფოებრივი მმართველ-გამგეობის განსაკუთრებული ფორმა, რომლის მსგავსი ისტორიამ არ იცის, ეს ფორმა ახალი არის ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის, მაგრამ ახალი არ არის ჩვენთვის—საქართველოში მომუშავე ამხანაგებისათვის. ჩვენ გვაქვს სახელმძღვანელოდ ოთხი წლის მაგალითი და გამოცდილება საბჭოთა აღმშენებლობისა რუსეთში და ეს გარემოება ჩვენ გვაყენებს გაცილებით უმჯობესს მდგომარეობაში, ვიდრე იყო რუსეთი ამ სამი-ოთხი წლის წინად, როცა ის ახლად შეუდგა ამ ახალი ხელისუფლების, საბჭოთა სისტემის შექმნას. მაშინ რუსეთში, არ მოიპოვებოდა მასალა, პრაქტიკა და გამოცდილება ამ ახალი სისტემის შესახებ. ოთხი წლის განმავლობაში ისტორიამ არგუნა პროლეტარულ რუსეთს მეტად მძიმე და რთული მოვალეობა—სოციალისტური სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მოწყობისა და მისი სისტემის, სტრუქტურის შექმნა და გამოკვლევა. ამ გარემოებამ, ამ მაგალითმა, საბჭოთა აღმშენებლობის პროცესმა რუსეთში ამ 4 წლის განმავლობაში, ჩვენ მოგვცა ერთგვარი გამოცდილება, გაკვეთილი, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ აქ, საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის მოწყობის დროს. ეს მაგალითი უნდა დაუდვათ საფუძვლად, საფუძვლად საბჭოთა ხელისუფლების კონსტიტუციის გამომუშავების საქართველოში, ...უნდა აქ გულახდილად ვთქვათ, არ შეიძლება ითქვას თითქოს საბოლოოდ დამთავრებული იყოს რუსეთში დღეს ამ ახალი სისტემის—საბჭოთა ხელისუფლების შექმნა და ჩამოყალიბება. მუშაობა ამ მხრივ კიდევ სწარმოებს, მაგრამ უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი ამ დიადი შრომისა, მცირე წვრილმანების გამოკლებით, უკვე დამთავრებული არის რუსეთში, და შეიძლება დღეს დანამდვილებით ითქვას, რომ მტკიცე და საბოლოოდ არის ჩაყრილი საძირკველი ახალი ხელისუფლებისა რუსეთში.

მე მინდა აქ თავდაპირველად მივაქციო, ამხანაგებო, თქვენი ყურადღება ერთ საკითხს, რომლის შესახებ დღესაც იმტვრევენ თავს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების იდეოლოგები. ეს საკითხი არის საბჭოთა ხელისუფლების წარმოშობის შესახებ. საიდან წარმოიშვა ეს ახალი ხელისუფლება ეს ახალი სისტემა, რომლის მსგავსი, ვიმეორებ, ჯერ კიდევ არ იცის ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ. ბურჟუაზიული მეცნიერები და პოლიტიკოსები ეძებენ და ვერ გამოუნახავთ ის საიდუმლო უჯრედი, რომელმაც მოგვცა ჩვენ ეს ახალი სისტემა,—საბჭოთა ხელისუფლება. ბურჟუაზიულ წესწყობილების იდეოლოგებს გონიათ, რომ ყველაფერი რაც კი დედამიწის ზურგზე ხდება, უსათუოდ მეცნიერულ წიგნებში უნდა იყოს აღნუსხული. ეს რასაკვირველია ასე არ არის. საბჭოთა რესპუბლიკა უპირველესად ყოვლისა, შეიძლება ვთქვათ, არის პირმშო და ღვიძლი შვილი რევოლიუციონური ქარტეხილისა. საბჭოთა ხელისუფლება მოგვცა ჩვენ რუსეთის პროლეტარულმა რევოლიუციამ. მანამდე კი ის არსად არ არსებობდა. მხოლოდ რევოლიუციას შეუძლია შექმნას ასეთი ფაქტორები, რომელთა შესახებ ვერ ივარაუდებს ვერც ერთი გენიოსი, მეცნიერი და მწერალი. მხოლოდ რუსეთის მუშებმა და გლეხებმა შექმნეს ეს ახალი ხელისუფლება და ამ სამი-ოთხი წლის უმაგალითო სამოქალაქო ომის პროცესში ჩამოაყალიბეს ეს ახალი სისტემა,—საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ სახელმწიფო ფორმაში.

1917 წელს მეორედ გაჩნდა მუშათა საბჭო პეტროგრადში და შემდეგ კი ეს ახალი ორგანიზაცია, მუშათა და გლეხთა საბჭოები, მოედვა მთელ უზარმაზარ რუსეთის ტერიტორიას, თქვენ გახსოვდებათ, რომ ასეთი მუშათა საბჭო პირველად დაარსდა ჯერ კიდევ 1905 წელს წითელ პეტერბურგში, მაგრამ ეს პირველი საბჭო რეაქციამ ერთი თუ ორი თვის განმავლობაში მოსპო; მთელი რევოლიუციონური პეტერბურგი სტოლიპინმა სისხლში ჩაახრჩო, გაამწყრა და ციხეში ამოხოცა მუშათა საბჭოს წევრები, მაგრამ, ამხანაგებო, ეს პირველი საბჭოური მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭო ამოუშლელად დამკვიდრდა პროლეტარულ მასსის მეხსიერებაში, ეს პირველი მუშათა საბჭო გვიჩვენებდა ჩვენ იმ გზას, რომლითაც უნდა წასულიყო რევოლიუციონური რუსეთი გამარჯვების მოპოვებისათვის. მხოლოდ ეს პირველი მუშათა საბჭო და არა კაბინეტში მომუშავე პირები მიგვითითებდნენ ჩვენ იმ ხელისუფლებას, იმ ორგანოს და ფორმას, რომელიც უნდა შეექმნა რევოლიუციას რომ ის გამარჯვებით დამთავრებული იყო. ასეთი არის, ამხანაგებო, ამ ახალი ხელისუფლების სისტემის ისტორია. მაგრამ არის, ამხანაგებო, კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების კონსტიტუციის გამომუშავების დროს. პროლეტარულ რევოლიუციის პირველ ხანებში რუსეთის მუშათა კლასმა სცადა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წესწყობილებიდან პირდაპირ გადასულიყო სოციალისტურ წესწყობილებაზე. პირველ ხანებში, ამხანაგებო, რუსეთის მუშებმა და გლეხებმა „სცადეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წესწყობილებიდან პირდაპირ გადასვლა სოციალისტურ წესწყობილების განხორციელებაზე—სოციალიზმზე. ამ მიზნის განხორციელებას რუსეთის მუშები და გლეხები პირდაპირ უკავშირებდნენ ევროპის რევოლიუციას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ რევოლიუციამ ევროპაში დაიგვიანა, თუმცადა პირველ ხანებში ევ-

...ხალხმა? კლასიური სახელმწიფოს ყველგან და ყოველთვის გარკვეული კლასი აძლევდა თავის შინაარს. ამიტომ ხალხმა თავისი ნათელი შინაარსი და სახე უნდა მისცეს მის მიერ დაპყრობილ სახელმწიფო აპარატს. ეს კი შეუძლებელია ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფოს დარღვევით, მოსპობით და განადგურებით. ამ დარღვევითი აქტის შესრულების შემდეგ, შესაძლებელი ხდება წმინდა მშრომელთა რესპუბლიკის განმტკიცება, რომელიც არსებითად განსხვავდება ძველი აპარატისაგან. 1871 წ. პარიზის პროლეტარიატმა დაამსხვრია ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და მის ნაცვლად მოგვცა ახალი—კომუნის სახით. პარიზის კომუნა პროლეტარული რესპუბლიკა იყო, მისი სტიქიური მოძრაობის რეზულტატი. პარიზის მოძრაობის გამოცდილებით დიდათ ისარგებლა რუსეთის პროლეტარიატმა და მშრომელთა სახელმწიფოს დამთავრებული სისტემა მოგვცა: ეს არის საბჭოთა სისტემა, რომლის წინამორბედი და პირველი სახე არის პარიზის კომუნა.

ყველა ეს ისტორიული გაკვეთილები ერთის უმთავრესს დასკვნამდე მიგვიყვანს: სოციალური ტრანსფორმაცია შეუძლებელია ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და პარლამენტის საშუალებით, რომ მშრომელმა კლასმა ასეთი დიდი აქტისათვის უნდა დაამსხვრიოს ძველი სახელმწიფოს აპარატის საფუძვლები და მის ნაცვლად აგოს თავისი კლასიური რესპუბლიკა.

ყოველივე ეს კითხვები ეხებიან სახელმწიფოს საკითხს. ჩვენს პარტიულს ლიტერატურაში ამ საკითხს დიდი ყურადღება მიექცია 1904—7 წლებში, როდესაც ჩვენს პარტიაში გარკვევით ორი მიმართულება იბრძოდა: ანარქისტული და რეფორმისტული. მაშინ კითხვის საფუძვლით გადაწყვეტა შეუძლებელი იყო შეუკვლომელად, ვინაიდგან თანამედროვე რევოლიუციის გამოცდილება და ის მოძრაობა, რომელიც მიიღო ამ საკითხმა ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით, მაშინ არც ერთს პარტიას არ შეეძლო გაეთვალისწინებინა. მაგრამ ჩვენს წარსულს ლიტერატურაში არის ისეთი დებულებ.ნი წამოყენებული, რომელნიც საფუძვლიან ამართლებენ დღევანდელს ჩვენს ნაბიჯს.

შესაძლებელია თუ არა პარლამენტის გზით სოციალიზმის განხორციელება, რას ნიშნავს დემოკრატიული რეჟიმი? ყველა ამ კითხვებზე ჩვენ გვაქვს პასუხი ჩვენი პარტიის იდეური ავტორიტეტისა, რომლის სიტყვას ყოველთვის დიდი წონა და ფასი ჰქონდა ჩვენს წრეში.

1904 წ., ჟენევის პირველ კონფერენციაზე რომელსაც დაესწრნენ ყველა ქართველი რევოლიუციონერ. პარტიები, არჩილ ჯორჯაძემ გააკეთა მოხსენება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პოზიციის შესახებ. ამ მოხსენებაში, ავტორი სხვათა შორის გადაჭრით და გარკვევით ამბობდა შემდეგს: „ჩვენის აზრით, სოციალიზმის განხორციელება კანონ-მდებლობის საშუალებით უქმი გარჯაა. და აი აქ იმალება უმთავრესი განსხვავება ჩვენსა და სოციალ-დემოკრატებს შორის.

ივენის შეხედულებით, თუ დემოკრატიული რეჟიმი გადაშენდება სოციალიზმის წეს-წყობილებად, იგი პროცესი კაპიტალის კონცენტრაციის ძალით და პარლამენტის კანონმდებლობის საშუალებით კი არ მოხდება, არამედ ბურჟუაზიულ საზოგადოებ. ის დანგრევის წყალობით, რევოლიუციის საშუალებით". *) კამათის დროს არჩილ ჯორჯაძემ უფრო განავითარა თავისი შეხედულება და შემდეგი საყურადღებო დებულებები წამოაყენა: „. . . დემოკრატიული რეჟიმი, ჩვენის შეხედულებით, არა სწყვეტს სოციალურ კითხვას, არა სპობს არსებულ ეკონომიურ წინააღმდეგობას და კლასობრივ წყობილებას... ჩვენ დემოკრატიულ რეჟიმის საშუალებით სოციალიზმს ვერ განვახორციელებთ...

ჩვენ წინააღმდეგნი ვართ იმ შეხედულებისა, რომელსაც ავრცელებს სოციალ-დემოკრატების ერთი დიდი ფრაქცია, ვითომ სოციალისტური და დემოკრატიულ წეს-წყობილებათა შორის ძირითადი თვისებითი განსხვავება კი არ არის, არამედ ოდენობითი; ვითომ დემოკრატიული რეჟიმი ევოლიუციის კანონის ძალით ნელ-ნელა უახლოვდება სოციალიზმს. ეს შეხედულება ცრუ შეხედულებად მიგვაჩნია. ამიტომ, ვამბობთ, სოციალიზმის განხორციელების გზა—რევოლიუციაა." (იქვე. 189—90).

*) იხ. „ოქმები ქართველ რევოლიუციონერთა პირველ კონფერენციისა" პარიზი, 1904 წ. გვ. 66—7.

ჩვენი პარტიის დამაარსებლისა და იდეური ხელმძღვანელის ასეთი განცხადებანი, ასეთი თეორიული დებულებებით წამოყენება, მეტად საინტერესოა და იგი ძლიერ უმაგრებს ზურგს ჩვენს მიმართულებას. ჩვენი მოსაზრებებსა და შეხედულებას დემოკრატიული რეჟიმისა დ პარლამენტარიზმის შესახებ თეორიული გამართლება აქვს არჩილ ჯორჯაძის ნაწერებში, მაგრამ მას რამოდენიმედ შესწორება და დამთავრება ესაჭიროება.

არჩილის დებულებაში ორი მომენტი არის საინტერესო: 1. უარყოფა დემოკრატიზმის გზის და შესაძლებლობის ამ რეჟიმი. ევოლიუციის საშუალებით სოციალიზმის განხორციელებისა, და 2. სოციალიზმის განხორციელება შესაძლებელია ბურჟუაზიულ საზოგადოების დანგრევის წყალობით, რევოლიუციის საშუალებით. ეს ორი დებულება არსებითად ერთს მთავარ კითხვას ეხება: სოციალიზმის განხორციელების გზას. პირველი დებულება უარყოფითი შინაარსისაა და ამტყუნებს რეფორმისტულს მეთოდებს, მეორე დადებითი მომენტზე გვეუბნება, მაგრამ აქ არის მთელი სიმძიმე საკითხისა ჩამარხული და მისი კონკრეტიული სახე და დამთავრებული სისტემა ჩვენ ვერ მოგვცა ამის შესახებ მთელმა კონფერენციამ. სწორედ ამ მუხლში გვიხდება ჩვენ არჩილის დებულების შევსება და დამატება თანამედროვე გამოცდილებიდან. დემოკრატიული რეჟიმი ჩვენ მიერ უ. უარყოფილი დ შეჩვენებულია, როგორც უვარგისი და ყალბი იარაღი სოციალური ტრანსფორმაციისათვის. ამ იარაღით მემარჯვენე სოციალისტებს შეუძლიათ გაიერთონ თავი ევროპის იმპერიალისტებთან ერთად. მაგრამ ჩვენ გვჭირდება რევოლიუციონერი მოძრაობის გარკვეული სახე: მისი სამოქმედო გეგმები და იარაღი. ამ გეგმასა და ამ ორგანოს იძლევა ხოლოდ საბჭოთა სისტემა, რომლის თეორიული დასაბუთება ამხ. ლენინის ულიდეს ღვაწლს შეადგენს (იხ. მისი: „რევოლიუცია და სახელმწიფო").

1904 წლის კონფერენციამ წამოაყენა ფედერატიულად შეკავშირებულ ავტონომიურ და რევოლიუციონურ ორგანიზაციების დებულება. მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს არავითარ გარკვეულს არ ამბობს და დიდი იდეური ნათესაობა აქვს სინდიკალიზმის თეორიასთან. რასაკვირველია, ასეთი დებულებები თანამედროვე რევოლიუციის სახელმძღვანელოდ ვეღარ გამოდგება. მას რადიკალური შევსება ესაჭიროება. დღევანდელმა საერთაშორისო მოძრაობამ ახალი მომენტებისა და ფაქტების წინაშე დაგვაყენა. ეს ახალი მომენტები ჩვენგან მოითხოვენ ახალ თეორიულ დასაბუთებასა და ფორმებს. ჩვენთვის ნათელი შეიქმნა, რომ კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი, რომელიც უნდა აუცილებლად გაიაროს სოციალისტურმა მოძრაობამ, სოციალისტურმა და რევოლიუციონურმა აზროვნებამ, ამ გარდამავალი პერიოდის სოციალ-პოლიტიკურ ფორმად წამოაყენა საბჭოთა სისტემა და ჩვენც სრულის შეგნებით შევიტანეთ იგი ჩვენ პარტიულს პროგრამაში; უკეთ, ჩავდგებით არჩილის, მიერ წამოყენებულ დებულებებში და ამით იგი უფრო სრულათ და მისაღებათ შევქმნით თანამედროვე მოძრაობისათვის. მემარჯვენეები პარტიულ პროგრამის დალატს გვაბრალებენ. უნდა გადაჭრით ვაღვიაროთ, რომ ასეთი დალატი ჩვენ ჩავიდინეთ. ჩვენ უფრო-ცნობით არჩილის მიერ წამოყენებულს დებულებებს, რომელიც შემდეგში მან ანარქიზმამდე დაიყვანა (იხ. მისი: „სოციალ-ფედერალიზმი საქართველოში"). პარტიის მესამე კონფერენციამ 1907 წ. საფუძვლით უარყო არჩილის ძველი და ახალი დებულებები და სრულის შეგნებით დაადგა რეფორმისტულსა და დემოკრატიულს ნიადაგზე. დღეს ჩვენმა პარტიამ ამ ძირითადი შეცდომის გამოსწორება მოიწადინა და თავის პროგრამას თანამედროვე მეცნიერებაზე აგებული, პრაქტიკულად გამოცდილი შინაარსი მისცა. ამით ჩვენ სოციალიზმ-ფედერალიზმი გადავარჩინეთ დემოკრატიულ ჭაობში საფუძვლით ჩაძირვას და დავუბრუნეთ მას თავისი „შესაფერისი შინაარსი.

ჩვენს ნაბიჯს თანამედროვე ისტორიული მოძრაობა ამართლებს და ჩვენის მხრით მემარჯვენეებს ერთს დიდ ბრალდებას ვუყენებთ: ჩამორჩენილობასა და იდეურს კონსერვატიზმს.

სამსონ ხუნდაძე.

როპის ბურჟუაზია მეტად დაფრთხო რუსეთის რევოლუციამ. მათ შეეშინდათ, ვაი თუ ჩვენმა მუშებმა და გლეხებმა ისეთივე ბედი გვარგუნონ, რაც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა რუსეთის კაპიტალისტებს და მემამულეებს არგუნეს. მაგრამ ბოლოს მაინც ბურჟუაზიამ შესძლო წელში გამაგრება და ბოლოს რევოლუციონურად განწყობილ ევროპის მუშათა კლასზე შეტევაც დაიწყო. სამწუხაროდ ჩვენ არ გვაქვს, ამხანაგებო, საშუალება ვიცოდეთ, თუ რამდენს ხანს გასტანს ასეთი მდგომარეობა, ვიცით მხოლოდ, რომ ჯერჯერობით რუსეთის მუშების და გლეხების და აგრეთვე ჩვენი იმედები არ გამართლდა.

და აი, რაკი გამოირკვა, რომ ევროპაში აქტიურ-რევოლუციით ვერ გამოვიდა მუშათა კლასი, რაკი გამოირკვა, რომ რეაქციამ გაიმარჯვა ევროპაში, საჭირო შეიქმნა, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის, დებულების გადათვალიერება და შეფარდება ახალ გარემოებებთან. ეს მოსაზრება მოვიყვანე მხოლოდ იმისთვის, რომ დამენახვებინა, თქვენი ყურადღება მიმექცია იმ გარემოებისათვის, იმ ხანისათვის, რომელმაც თავისი განსაკუთრებული დაღი დაასვა რუსეთის საბჭოთა კონსტიტუციას, რომელიც გამომუშავებული და მიღებული აქვთ რუსეთის საბჭოთა წარმომადგენლებს მე 5 ყრილობაზე. იმ დროს რუსეთი განიცდიდა იმ ხანას, როდესაც მოსალოდნელი და შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ პირდაპირ ნახტომს მოვახდენთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოდან სოციალისტურ სახელმწიფოში. ამის იმედს, უმთავრესად, გვაძლევდა ევროპის მოსალოდნელი რევოლუცია. და ეს დებულება უდევს საფუძვლად რუსეთის კონსტიტუციას, რომელიც გამომუშავებული იყო იმ დროს. მაგრამ ჩვენ ვართ მარქსისტები, რევოლუციონერები და ვალდებულნი ვართ ანგარიში ვუწიოთ საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველგვარ ახალ პირობებს. რაკი გამოირკვა, რომ ევროპის რევოლუციამ დაიგვიანა და ევროპის მუშათა კლასი წელს ვერ განიმაგრებდა, რასაკვირველია, საჭირო შეიქმნა ჩვენი პოლიტიკის გადათვალიერება და შეფარდება ახალ პირობებთან, ან, როგორც ამბობენ, ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან და, რასაკვირველია, ესეც მოხდა. ჩვენ იძულებული გავხდით გადაგვეთვალიერებინა საფუძველი რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების კონსტიტუციისა და შეგვეფარდებინა ის დებულებანი ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან. რაში გამოიხატება ეს ახალი პოლიტიკა? რა შინაარსისა არის?

„სახელმწიფო კაპიტალიზმიდან სოციალიზმამდე". თუ უწინ ვამბობდით, „ბურჟუაზიულ სახელმწიფოდან პირდაპირ სოციალიზმში", დღეს ვამბობთ: ჩვენ უნდა გავიაროთ კიდევ ერთი სტადია —სახელმწიფო კაპიტალიზმი და შემდეგ ამოვყოთ თავი სოციალისტურ წესწყობილებაში. ეს ახალი დებულება, რომელიც არ ჰქონდა გათვალისწინებული რუსეთის საბჭოთა კონსტიტუციას, რომელიც მუშავდებოდა 4 წლის წინედ. ეს ახალი დებულება ჩვენ ჩვენს პროექტში შევიტანეთ.

ამ მოკლე წინასწარ მოსაზრებების შემდეგ, მე გადავდივარ, ამხანაგებო, იმის ახსნაზე, თუ რა უმთავრესი პრინციპი უდევს საბჭოთა ხელისუფლების კონსტიტუციას. პირველი და უმთავრესი დებულება—ეს არის სახელმწიფოს კლასიური ორგანიზაცია. ჩვენ ვიცით, რომ ყოველგვარი სახელმწიფოს ფორმა, როგორი სახელმწიფოც არ უნდა ავიღოთ, აგებულია კლასიურ ნიადაგზე. განსხვავება იმაში მდგომარეობს მხოლოდ, რომ ერთ შემთხვევაში გაბატონებულია ერთი კლასი, მეორე შემთხვევაში—მეორე კლასი. ბურჟუაზიულ სახელმწიფოში—გაბატონებულია ბურჟუაზია, კაპიტალისტები, მსხვილი საკუთრების მქონე კლასი. პროლეტარულ სახელმწიფოში—მართვა გამგეობა ეკუთვნის პროლეტარიატის წარმომადგენელთ, ეგრედ წოდებული საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლებით. ბურჟუაზია გვარწმუნებს ჩვენ, ბურჟუაზიული სახელმწიფოს იდეოლოგები გვარწმუნებენ, რომ ისინი აღწევენ ზეკლასიურ სახელმწიფოებრივ ფორმას, სადაც თანაბრად არის დაცული ყველა კლასების ინტერესები, ინტერესი მთელი ხალხისა, სადაც მიუხედავად სოციალურ განსხვავებისა, სახელმწიფო ერთნაირად იცავს ყველას ინტერესებს. ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ არის, რომ ეს თვალთმაქცობაა, ჩვენი მოტყუილებაა და მეტი არაფერი. როგორც ვთქვით, ყოველგვარ ფორმაში სახელმწიფოს [illegible] ან ერთი კლასი, ან მეორე. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში თუმცა არსებობს საყოველთაო საარჩევნო უფლება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელი ძალა-უფლება ეკავა ბურჟუაზიის წარმომადგენელთ და იქ იჩაგრებიან პროლეტარული მასები და უღარიბესი გლეხები. პროლეტარულ სახელმწიფოში ძალა-უფლება აქვს პროლეტარიატს და ღარიბ გლეხობას და ის სჩაგრავს მის მოწინააღმდეგეს, მოსისხლე მტერს—ბურჟუაზიის წარმომადგენელთ. (ტაში). ეს არის, ამხანაგებო, ერთად ერთი უმთავრესი საფუძველი, უმთავრესი დებულება, რომელიც გავლებულია წითელ ზოლივით მთელი ჩვენი კონსტიტუციის იმ პროექტში, რომელსაც გიდგენთ თქვენ დასამტკიცებლად.

მეორე დებულება, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა ხელისუფლებას და მის კონსტიტუციას, ეს არის, ამხანაგებო, დემოკრატიული ცენტრალიზმი. ხელისუფლების ცენტრალიზაცია აუცილებელი არის, თუ არ გვინდა, რომ ერთგვარი არეულობა და ანარქია შევიტანოთ სახელმწიფოში, ერთი ნებისყოფა ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით, ერთი სურვილი. მამოძრავებელი ძალები აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ, თუ არ გვინდა, რომ თვითეულმა ჩვენგანმა სხვა და სხვა ენაზე ილაპარაკოს და ანარქია გაამეფოს. მაგრამ დემოკრატიულ ცენტრალიზმს თან სდევს ბევრი უარყოფითი მხარე. ეს მხარეები რომ ჩამოვაცალოთ,—დემოკრატიულ ცენტრალიზმს და დემოკრატიული ცენტრალიზმი რომ ბიუროკრატიზმად არ გარდავაქციოთ, რომ მას დემოკრატიული ელფერი მივცეთ, და არა ბიუროკრატიული—საბჭოთა ხელისუფლების მიერ არის შემოღებული შემდეგი დებულება. ეს არის: აღმასრულებელ კომიტეტის განყოფილებათა ორმაგი დამოკიდებულება; ერთის მხრივ განყოფილებები აღმასრულებელ კომიტეტისა ექვემდებარებიან ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, მეორეს მხრივ კი—ეს განყოფილებები ექვემდებარებიან და ემორჩილებიან შესაფერ ცენტრალურ სახალხო კომისარიატს. განყოფილებების ამგვარი ორმაგი დამოკიდებულებით ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებთან და ცენტრალურ ორგანოებთან, ჩვენ ესე ვსთქვათ, ვალაგებთ, ვაწესრიგებთ, ერთგვარ თანხმობას და ისეთ პირობებს ვქმნით ადგილობრივად, რომ არც სახელმწიფოებრივი ინტერესი, და არც ადგილობრივი ინტერესი ერთი მეორეს არ შეეცილონ, მართალია, შეიძლება სახელმწიფო ინტერესებს შეეწიროს ადგილობრივი ინტერესი, მაგრამ, ყოველ დროს, საჭიროა თუ არა, ადგილობრივი ინტერესების მსხვერპლად შეწირვა სახელმწიფოსთვის ყოვლად დაუშვებელია.

ამიტომ განყოფილებები ემორჩილებიან როგორც ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, ისე ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. და ამგვარად, თანაბრად არის დაცული როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ცენტრალურ ორგანოების ინტერესები—მთელი რესპუბლიკის ინტერესები. ეს მეორე დებულება, ამხანაგებო, რომელიც გატარებულია ჩვენ კონსტიტუციაში, არის განყოფილებათა ორმაგი დამოკიდებულება. ვიმეორებ, ამ ორმაგი დამოკიდებულების შემწეობით, ჩვენ ერთმანეთს ვუთანხმებთ, როგორც ადგილობრივის, ისე ცენტრალურ ორგანოების ინტერესებს, არც ერთი, არც მეორე დაჩაგრული არ იყოს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექციოს ცენტრალური ორგანოს მთელ სახელმწიფოს პოლიტიკას, მაგრამ, ამასთანავე ამ პოლიტიკას არ შეეწიროს ადგილობრივი ინტერესები. შემდეგ, ამხანაგებო, ცენტრის და ადგილობრივი ინტერესების შესაფარდებლად საბჭოთა კონსტიტუციაში შემოღებულია შემდეგი წესი: გაუქმება იმ დადგენილების და განკარგულებისა, რომელიც გამოვა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის ან სახალხო კომისარიატისაგან, როგორც მაზრებში, აგრეთვე ცენტრში, შეიძლება მხოლოდ უზენაეს ორგანოს მიერ,—ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ან სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. სახალხო კომისარს კონსტიტუციის ძალით არ აქვს უფლება, რომ ადგილობრივი ალმას. კომიტეტის განკარგულება გააუქმოს, ამასთანავე, არც ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს აქვს უფლება გააუქმოს და გაანიავოს სახალხო კომისრის განკარგულება. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე საკითხი სადავოდ ხდება, ამ საკითხს სწყვეტს რესპუბლიკის უზენაესი ორგანო—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო.

ასეთია უმთავრესი ერთი დებულებათაგანი, რომელიც შევიტანეთ კონსტიტუციაში და რომელიც გამომუშავებული აქვს მე-7 და მე-8 საბჭოთა წარმომადგენელთა ყრილობას რუსეთში. მაგრამ, არის ერთი შემთხვევა, როცა აღმასრულებელ კომიტეტს ადგილობრივად უფლება ეძლევა არ შეასრულოს სახალხო კომისრის ბრძანება, ან განკარგულება, ეს ერთი შემთხვევა მხოლოდ მაშინ არის, როდესაც რომელიმე სახალხო კომისარი უკანონო განკარგულებას სცემს, ან თუ რომელიმე სახალხო კომისრის განკარგულება ეწინააღმდეგება რომელიმე დეკრეტს, მთავრობის დადგენილებას, ან ბრძანებას, როცა აშკარად ეწინააღმდეგება. სწორედ ამ შემთხვევაში ადგილობრივ კომიტეტს უფლება აქვს არ შეასრულოს სახალხო კომისრის ბრძანება; მაგრამ იმ შემთხვევაში კი, თუ აღმასრულებელმა კომიტეტმა უკანონოდ შეაჩერა სახალხო კომისრის განკარგულება, ის პასუხისგებაში იქნება მიცემული მთელი თავის შემადგენლობით. შემდეგ, ჩვენ შევაჩერებთ თქვენ ყურადღებას იმ დამატებაზე, რომელიც შევიტანეთ ჩვენ კონსტიტუციაში, და რომელიც რუსეთის კონსტიტუციის დედანში გამოტოვებული არის. ეს დამატება და ცვლილება გახლავთ შემდეგი: რუსეთის კონსტიტუციაში სრულიად გამოტოვებული არის დებულება სასამართლოს შესახებ. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემდეგ კი აუცილებლად საჭირო შეიქნა ამ ინსტიტუტზე, სასამართლოზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა. სასამართლოს ფუნქციები ამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამო, მეტად ფართოვდება. ყოველგვარი სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეები ირჩევა მხოლოდ სასამართლოს წესით, სასამართლოში ყოველგვარი საკითხები წყდება იმ კანონის მიხედვით, რომელიც არსებობს.

მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის საკითხი არავითარ დეკრეტით, კანონით გათვალისწინებული არ არის, იმ შემთხვევაში სასამართლო სწყვეტს საკითხს რევოლუციის სინდისის მიხედვით. მომავალში უფრო დაწვრილებით იქნება შემუშავებული სასამართლოს დებულებანი; ჩვენ კონსტიტუციაში კი შევიტანეთ მხოლოდ ზოგადი ხასიათის დებულებანი. გარდა ამისა, ამხანაგებო, საბიუჯეტო უფლება უფრო ფართოთ არის გამომუშავებული ჩვენს კონსტიტუციაში, ვიდრე რუსეთის კონსტიტუციაში, ვინაიდან ვიმეორებ, ბიუჯეტის სასამართლოს და სხვა ამგვარ საკითხებს არ ვაქცევდით მაშინ იმდენ ყურადღებას, როგორც დღეს, როდესაც განვიცდით ახალ ეკონომიურ ხანას. ეს საბიუჯეტო უფლების ხანა, რომელიც მიღებულ იქნა საბჭოთა უკანასკნელ ყრილობაზე რუსეთში, ჩვენ ცალკე თავად გამოვიმუშავეთ,—ეს არის საკითხი, დებულება ახალ ეკონომიურ და ფინანსიურ პოლიტიკის შესახებ. კონსტიტუციის ამ თავში, ამხანაგებო, გათვალისწინებული არიან ყველა დაწესებულებანი სავაჭრო ხასიათისა: ბირჟები, ბანკები და სხვა დაწესებულებანი, რომელნიც აუცილებლივ საჭირონი არიან დღესდღეობით, რადგანაც საქმე გვაქვს საქონლის გაცვლა-გამოცვლასთან. სწორედ საქონლის გაცვლა-გამოცვლის გასაფართოებლად ამგვარი დაწესებულებანი აუცილებლივ საჭირო არიან. ეს დაწესებულებანი არ იყო შეტანილი რუსეთის კონსტიტუციაში, ვინაიდან მაშინ სულ სხვა მიზანი ჰქონდა დასახული რუსეთის კონსტიტუციას. ეხლა კი, იმის და მიხედვით, თუ რანაირად გამოიცვალა ჩვენი შეხედულება თანამედროვე მომენტში ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან შეთანხმებით, საჭირო შეიქნა ასეთი დაწესებულებათა კონსტიტუციის პროექტში შეტანა და ჩვენც, რასაკვირველია, ეს დაწესებულებანი შევიტანეთ ჩვენს კონსტიტუციაში. შემდეგ ამხანაგებო, კონსტიტუციაში ჩვენ შევიტანეთ ის ცვლილებანი, რომელსაც გვიკარნახებს პრაქტიკა და საქართველოს განსაკუთრებული ადგილობრივი პირობები. ეს ცვლილებანი გახლავთ შემდეგი: პირველი ცვლილება ეხება აღმასრულებელ კომიტეტების შემადგენლობას. რუსეთის კონსტიტუციის ძალით შემადგენლობა აღმასრულებელი კომიტეტისა ადგილობრივ არ უნდა აღემატებოდეს 20 წევრს; ჩვენ ეს რიცხვი მეტად გადაჭარბებულად მიგვაჩნია და პროექტში შევიტანეთ მხოლოდ 13 კაცი. და რაც უფრო ნაკლები კაცი იქნება აღმასრულებელ კომიტეტში, მით, უფრო ჩვენის აზრით, მეტი სარგებლობა გვექნება: ნაკლები სიტყვა დაიხარჯება და მეტი საქმე გაკეთდება. მაგრამ რათ ავიღეთ რიცხვი ცამეტი აღმასრულებელ კომიტეტში? თქვენ მოგეხსენებათ, რომ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობს 11 ან 12 განყოფილება. ამას მიუმატოთ თავმჯდომარე, რომელიც უმეტეს შემთხვევაში არავითარ განყოფილებას არ განაგებს და მივიღებთ მაქსიმუმს, რომლის ზევით შემადგენლობა არ არის საჭირო. მე მგონია ამ ცვლილებას, რომელიც შევიტანეთ რუსეთის კონსტიტუციასთან შედარებით ჩვენს კონსტიტუციაში ყრილობა მიიღებს. შემდეგ, ამხანაგებო, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის შემადგენლობა ჩვენ განვსაზღვრეთ 85 კაცით. რუსეთის კონსტიტუციით კი გაცილებით უფრო მეტი წევრი არის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, დაახლოვებით 300 კაცი რუსეთის ვეებერთელა ტერიტორიისათვის. ეს, რასაკვირველია, აუცილებლივ საჭიროა, მაგრამ ჩვენი პატარა რესპუბლიკისთვის, მე მგონია, თუ მეტი არა, საკმარისი იქნება 85 წევრი. შემდეგ მე მივაქცევ, ამხანაგებო, თქვენს ყურადღებას ერთ გარემოებაზე. ეს არის, საკითხი თუ როგორ არის ჩვენში ადმინისტრატიულად მოწყობილი ხელისუფლების ორგანოები. რუსეთში არის ოთხ სართულიანი ადმინისტრატიული შენობა, ოთხ სართულიანი ხელისუფლების ორგანოები. სოფლის საზოგადოება, ეგრედ წოდებული „ვოლოსტი," (რუსეთში ვოლოსტს უძახიან თემის მსგავს ერთეულს) შემდეგ მაზრა, გუბერნია და ცენტრი. ჩვენ გვაქვს სამ სართულიანი ადმინისტრატიული შენობა: თემი, მაზრა და ცენტრი, მე მგონია, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, რომ სამ სართულიანი ხელისუფლების ორგანოები, სამსართულიანი ადმინისტრატიული შენობა, ოთხ სართულიანთან შედარებით, გაცილებით უკეთესია. აქ უფრო სავსებით და ნამდვილად ხორციელდება პრინციპი დემოკრატიული მართვა-გამგეობისა, ცენტრი უშუალოდ უკავშირდება ადგილობრივ ორგანოებს. მე მგონია ეს ცვლილება, რომელიც ჩვენს პირობებში პრაქტიკამ და ცხოვრებამ დააკანონა, დაკანონებული იქნება საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობის მიერაც. ჩვენში უკანასკნელ დრომდე არსებობდნენ კიდევ რაიონული ორგანოები, მაგრამ ჩვენ ეს გავაუქმეთ, რადგან იგი უარყო ცხოვრებამ და დარჩა მხოლოდ თემის და მაზრის ორგანო. მაზრა პირდაპირ უკავშირდება ცენტრს. მაშინ, როდესაც რუსეთში არსებობს ოთხი ეტაპი, ჩვენ გვაქვს მხოლოდ 3 ეტაპი: თემი, მაზრა და ცენტრი.

შემდეგ, ამხანაგებო, გზა და გზა ჩვენს კონსტიტუციაში მრავალი ცვლილებები შევიტანეთ. თქვენს ყურადღებას მივაქცევ, ამხანაგებო, უმთავრეს ცვლილებებს. ეხლა, ამხანაგებო, საქართველოს ცენტრალურ რევკომთან 15 კომისარიატია. ჩვენ ეს რიცხვი მეტად გაზვიადებულად მიგვაჩნია და ეს 15 კომისარიატი, ჩვენ შევამოკლეთ, ჯერ-ჯერობით 12-დე ჩვენ, გავაუქმეთ სამი კომისარიატი, და შევუერთეთ სხვა და სხვა კომისარიატებს, სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატი შევუერთეთ შრომის კომისარიატს [illegible] იყო რუსეთში [illegible] გრაფიის და სტატისტიკური სამმართველო შევუერთეთ შინაგან საქმეთა კომისარიატს. საგანგებო კომისია, ეგრედ წოდებული „ჩეკა" შევუერთეთ შინაგან საქმეთა კომისარიატს. ასეთი დებულება არის, ამხანაგებო, უკანასკნელად მიღებული რუსეთში და ეს დებულება ჩვენც საჭიროდ დავინახეთ შეგვეტანა კონსტიტუციაში. ადვილად შესაძლებელია, რომ მომავალში ჩვენ შევიტანოთ ჩვენს კონსტიტუციაში მრავალი ცვლილებები და დამატებები. ეს მომავალში, მაგრამ ჯერ-ჯერობით თქვენ ყურადღებას მივაქცევ უმთავრესს ცვლილებებს. მომავალი ცვლილებების შესახებ ცხოვრება გვაჩვენებს და ეხლა კი ჩვენ [illegible] ის კონსტიტუცია, რომელსაც წაგიკითხავთ. მანამ შევუდგებოდე კონსტიტუციის წაკითხვას, მე გადავთარგმნი რუსულად იმას, რაც ქართულად მოგახსენეთ და შემდეგ ორთავე ენაზე გაგაცნობთ კონსტიტუციის პროექტს.

კონსტიტუციის წაკითხვის შემდეგ სხდომა დაიხურა 3 საათზე.

# III კომინტერნის 3 წლის თავი

მოსკოვი. 5 მარტი. დღეს სრულდება 3 წელი მესამე კომინტერნის დაარსების დღიდან. რუსეთის კომუნისტები ამ დღეს ძმურ სალამს და მილოცვას უძღვნიან თავის მილიონ ამხანაგებს ყველა ქვეყნისას, რომელიც თავიანთი ბრძოლით ძირს უთხრიან ბურჟუაზიულ მსოფლიოს.

—

ამხ. ზინოვიევი „პრავდის" მოწინავეში სწერს: სამი წლის განმავლობაში კომინტერნი გაიზარდა. პირველად ის აერთიანებდა მხოლოდ ორ კომპარტიას, ხოლო ახლა კი მან შეაკავშირა მსოფლიოს კავშირში 52 ქვეყნის კომუნისტი. კომინტერნი გახდა პროლეტარიატის ძლიერ ხელისუფლებათ; მისი გავლენა [illegible] მთელ ქვეყანაზე უზრუნველყოფილია. კომინტერნს ჯერ კიდევ ვერ დაუპყრია მთელი საერთაშორისო მუშათა კლასი, მაგრამ მან უკვე მტკიცედ და იდეურად გააერთიანა ერთ მთელში საუკეთესო მოწინავე ნაწილი, რომელიც უკვე გამოიცადა პროლეტარულ რევოლუციისათვის მძიმე ბრძოლაში. ახალი რევოლუციონური აღფრთოვანება მუშათა მასებში, რომელსაც [illegible] შემდეგი კაპიტალი, საკმაო გარკვეულობით აისახა. საერთაშორისო პროლეტარიატის რიგებში არიან მოწინავე და ჩამორჩენილნიც, რომელნიც ახლა იწყებენ რევოლუციის ანბანის შესწავლას. კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის უკანასკნელმა კონფერენციამ გვიჩვენა, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის ავანგარდი ნათელ ანგარიშს უწევს ამას, ანგარიშობს რა აუცილებლობას, რომ მუშათა მილიონების მთელი ძალა [illegible] უნდა იქნეს [illegible] სასწორზე კაპიტალიზმის წინააღმდეგობის განსაკუთრებულ გამწვავების მომენტში, კომინტერნის [illegible] ყველა ქვეყნებში უზრუნველყოფილია".

ჩერდება მთლიანი ფრონტის ლოზუნგზე, ამხ. საფაროვი სწერს: „მთლიანი ფრონტი არ არის წონასწორობა და შერიგების ფორმულა, როგორც ამას ჩვენი მტრები ამბობენ. ეს არის მუშათა კლასის აქტიური კლასიური ერთობის მოთხოვნილება, რომელიც იქნება გამარჯვებით და დამარცხებით, სოციალ-დემოკრატიულ ბელადთა გამცემლობით და პროლეტარიატის გამბედაობით.

ამხ. ტალგეიმერი „პრავდაში" აღნიშნავს, რომ აქამდე პროლეტარიატი მსოფლიო მასშტაბით სუსტი იყო ბურჟუაზიაზე. შტურმის დრო ჯერ არ დამდგა, მაგრამ კომინტერნი იზრდება და თავის დროშის ქვეშ იკრებს. პროლეტარულ ფართო მასებს,

[illegible] უნდა დამთავრდეს საბჭოთა რესპუბლიკების მსოფლიო კავშირის შექმნით.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

საქართ. შემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტურ სარევოლუციო პარტია [illegible]

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 5000 მან.

№ 166

ხუთშაბათი, მარტის 9

1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო შემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტურ სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ხელოვნების სასახლე
სერგიევის ქუჩა № 13.
ხუთშაბათს მარტის 9-ს
გაიმართება
სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის
მორიგი მეთოთხმეტე
ლიტერატურული
ხუთშაბათი
მოხსენებას წაიკითხავს ალ. წერეთელი
„ალ. შანშიაშვილის პოეზია"
დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

ხუთშაბათს, მარტის 9-ს საღამოს 6 საათზე
ტფილისის ქალაქის აღმასკომის შენობაში
შესდგება სხდომა
ტფილისის ქალაქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა
ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა, განსახილველ საკითხის დიდი მნიშვნელობისა და გადაუდებლობის გამო.
პრეზიდიუმი.

ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის მიერ
საბიუჯეტო კომისიისა
შემკრები ბიუროსი და მათი სარაიონო აგენტების მოქმედების განსახილველად
დანიშნული კომისია
ამით აუწყებს ყველა დაინტერესებულ კერძო პირთ, ვაჭრებს, დაწესებულებებს, ხაზრეწველოებს, რომელთაც აქვთ რაიმე ცნობები, საჩივრები და პრეტენზიები ზემოდ აღნიშნულ დაწესებულებების არა კანონიერ და ბოროტმოქმედების შესახებ, რომ ასეთები პირადათ წერილობითი სახით წარმოადგინონ კომისიაში, რომელიც მოთავსებულია ოთახი № 16 ტფილისის ქალაქის აღმასკომის შენობაში (ყოფილი ქალაქის სამმართველო).

# დადგენილება

ემყარება რა თავისუფალ და ცხადად გამოხატულ ნებისყოფას აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მშრომელ მასსებისას, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებმა მტკიცედ გადაწყვიტა შექმნას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია, რისთვისაც ცენტრალური აღმ. კომიტეტები სამივე რესპუბლიკისა ადგენენ მიმდინარე წლის მარტის 10-ს ტფილისში რესპუბლიკების ც. ა. კომიტეტის კონფერენციის მოწვევას ამიერ-კავკასიის ფედერაციის შესაქმნელად.

საქ. ცენტრ. აღმ. კომ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.
აზერბ. ცენტრ. აღმ. კომ. თავმჯდომარე მ. გაჯიევი.
სომხ. ცენტრ. აღმ. კომ. თავმჯდომარე ს. ამბარცუმიანი.

## ენის საკითხი და კონსტიტუცია

საქართველოს საბჭოთა პირველმა ყრილობამ უკვე დაასრულა თავისი მუშაობა და ამით საძირკველი ჩაუყარა ახალს პოლიტიკურს წყობილებას ჩვენში. შრომის კონსტიტუციის დაწესება და შრომის დიქტატურის გარკვეულს ფორმებში ჩამოსხმა, ერთს უდიდეს საკითხს შეადგენს ყრილობის საქმიანობისათვის. [illegible] მუშაობა დიდებით დაჯ[illegible], მაგრამ მან თანდაჰყვა რამოდენიმე დეფექტი, რომელიც მოითხოვს ხელახლად გადასინჯვასა და სადი გონებით აწონ-დაწონვას.

კონსტიტუცია, და მით უფრო შრომის კონსტიტუცია, რომელიც სრულიად ახალი ხილია ჩვენი პოლიტიკური ცხოვრებისათვის, უნდა ეყრდნობოდეს არსებულ ძალთა-განწყობილებისა და მოვლენების სინამდვილეს. შეუძლებელია ასეთი დიდი აქტის მოხდენის დროს, რომელმაც უნდა განსაზღვროს მომავალი ცხოვრებისაკენ სავალი გზები და მეთოდი, განყენებული თეორიებით ვიმსჯელოთ, აბსტრაქტიულს სივრცეში ვაფარფატოთ ჩვენი გონება და არ დავეშვათ მატერიალურს ნიადაგზედ, რეალურს სინამდვილის მორევში. ისეთი კონსტიტუცია, რომელიც არ სახავს ამ სინამდვილეს, არ ეხება ფაქტიურს მდგომარეობას ყოველთვის ჰაერში დარჩება გამოკიდებული და ყოველ ფეხის ნაბიჯზე მოგვიხდება მისი საწინააღმდეგო მოქმედება.

ჩვენს ახალს კონსტიტუციას, რომლითაც იწყება ახალი ერა ჩვენი ერის ცხოვრებაში, საუბედუროდ, თან დაჰყვა რამოდენიმე ნაკლი, რომელიც მოითხოვს შესწორებას. ეს შესწორება შესაძლებელია მას შემდეგ, რომ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „კონსტიტუციის პროექტი მიღებულ იქმნეს როგორც საფუძველი, ხოლო ესა თუ ის დამატებანი და შესწორებანი შეტანილ იქნეს შემდეგში საკონსტიტუციო კომისიაში, რომელიც განიხილავს მას და საბოლოო ტექსტს გამოაქვეყნებს". ვიმეორებთ, რეზოლიუცია საშუალებას გვაძლევს შესწორებები შევიტანოთ საკონსტიტუციო კომისიის საშუალებით. ჩვენ ვფიქრობთ ეს მომენტი უნდა გამოვიყენოთ და შემცდარი ნაბიჯი საფუძვლიანად შევასწოროთ.

ერთი მთავარი საკითხი, რომელმაც გამოიწვია კამათი ყრილობაზე კონსტიტუციის განხილვის დროს, ენის საკითხი და მისი კონსტიტუციაში შეტანის საჭიროებაა. ჩვენი ფრაქცია დაჟინებით მოითხოვდა კონსტიტუციაში შეტანილი ყოფილიყო ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება. უნდა აღინიშნოს თავიდანვე, რომ პრინციპიალური უთანხმოება ამ საკითხის ირგვლივ არ ყოფილა, საკითხის ამგვარად დაყენება თავიდანვე სწყვეტს მრავალ სხვა კითხვებს და საშუალებას გვაძლევს საკითხი პრაქტიკულს ნიადაგზედ დავაყენოთ.

ჩვენთვის ენის საკითხი ღრმად პრინციპიალური ხასიათის არის და მას ასე იოლად ვერ გადავსწყვეტთ. ენის საკითხი უპირველეს ყოვლისა ეროვნული კულტურის საკითხია და ვინც სდგება ეროვნულს პოლიტიკის ნიადაგზე მან ამ მხარეს არსებითი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ენა ეროვნული შემოქმედების ორგანოა, მისი რაობის გამომხატველი. ეროვნული ენის სიწმინდის დაცვა და მისთვის თავისი შესაფერისი უფლების მოპოვება, ნიშნავს ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის ზრუნვას და მისი წარმატებისათვის შესაფერისი პირობების შექმნას.

ვინც სდგება ეროვნულ კულტურის ნიადაგზე, მან ენის საკითხი და მისი უფლება უნდა დაიცვას უწინარეს ყოვლისა. ჩვენთვის ინტერნაციონალიზმი შერეულ და უსახოდ არეულ რამეს კი არ წარმოადგენს, არამედ არსებულ ეროვნულ ინდივიდუალობაზედ აგებულ მოძღვრებას. ინტერნაციონალიზმი ერთეულთა კრებულია, სადაც შეურყვნელად ინახება ყოველი ერის კულტურა და მისი ინდივიდუალობა. გარეშე ეროვნებისა არ არსებობს ნამდვილი ინტერნაციონალიზმი; ერი ინტერნაციონალიზმის საფუძველია და მისი დასაყრდენი [illegible]. როდესაც ამ ნიადაგს სცილდება ინტერნაციონალიზმი, მაშინ იგი ჰკარგავს თავის ნამდვილ სახეს, თავის დასაყრდენ საფუძველს და კოსმოპოლიტიზმში გადადის, რომლისთვისაც არ არის მისაღები არავითარი ეროვნება. მაგრამ ასეთი შეხედულება ეროვნებაზე დიდი ხანია უკვე აგდო მუშათა კლასმა და თავი განითავისუფლა ნაციონალური ნიჰილიზმის ყმაწვილურს სენისაგან. დღეს საერთაშორისო პროლეტარიატი ეროვნულს ნიადაგზედაც სდგას და ენერგიულად იცავს თავს სოციალისტურს სამშობლოს. ეს სავსებით დაგვიმტკიცა საბჭოთა რესპუბლიკის არსებობამ და იმ დიდმა ომებმა, რომელიც გადაიტანა რუსეთის პროლეტარიატმა თავისი რესპუბლიკის დასაცავად.

ასე რომ სადად გაგებული ინტერნაციონალიზმი კი არ უარყოფს ეროვნებას, არამედ მას ეყრდნობა და სხვა და სხვა ერებს, თავიანთი ინდივიდუალობისა და კულტურის შენარჩუნებით, აახლოვებს ერთმანეთთან და აკავშირებს მათ.

თუ ჩვენ ვსდგებით ინტერნაციონალიზმის ნიადაგზე აუცილებლად უნდა დავსდგეთ ეროვნულს ნიადაგზედაც. ეს კი მოითხოვს ვიყოთ ლოღიკური ბოლომდი და დავიცვათ ეროვნული ორგანიზმის ყველა სასიცოცხლო და აუცილებელი ფუნქციები.

ენა ერისათვის და მისი კულტურისათვის ერთს აუცილებელს სასიცოცხლო ფუნქციას წარმოადგენს. მშრომელ ხალხს გარეშე ამ ფუნქციის არსებობა არ შეუძლია და მან მთელი თავისი ენერგიით უნდა დაიცვას მშობლიური ენა. ეს არის ზოოლოგიური ნაციონალიზმი, ვიწრო და კარჩაკეტილი შოვინიზმი, რომელიც თავის თავისა და მისი უფლებების მეტს ვერავის ვერ ხედავს და ყოველივეს სურს თავის ეგოისტურს „მე"-ს დაუმორჩილოს. შოვინიზმი თავისი შინაარსით და მიმართულებით ანორმალურს მოძღვრებას წარმოადგენს, იგი მიუღებელია მუშათა კლასისათვის, როგორც რეაქციისა და ერთაშორის მტრობის იარაღი, ამ მოძღვრებას შეუძლია რაიმე საერთო ჰქონდეს მუშათა კლასის ეროვნულს შეგნებასთან, მის ნაციონალურს პოლიტიკასთან. შოვინიზმი თავისი მიმართულებით ბურჟუაზიის მოძღვრებაა, იმპერიალიზმის საფუძველია.

სოციალისტური ნაციონალიზმი მუშათა კლასის ეროვნული იდეოლოგიის გამოხატულებაა; ის გზა და ხიდია ერთა სოლიდარობისა და ინტერნაციონალიზმისათვის. შოვინიზმს ჩვენ მივყავართ საერთაშორისო ომებისაკენ, სისხლის ღვრისა და განადგურებისაკენ, მუშათა ნაციონალიზმს—საერთაშორისო მშვიდობიანობისაკენ.

ჩვენი გაგება ნაციონალური პრობლემისა წმინდა სოციალისტურია და რევოლიუციონურია, ამიტომ ჩვენ გვინდა ვიყოთ ლოღიკური ბოლომდე და დავიცვათ მშრომელთა ეროვნება მთელი თავისი ინდივიდუალური თვისებებით, მისი კულტურული რაობით.

ეს არის ის პრინციპიალური საფუძველი, რომელზედაც ეყრდნობა ჩვენი ეროვნული პროგრამა. საკითხის ასეთს პრინციპიალურ ნიადაგზე დაყენება ჩვენ გვაძლევს საქართველოს შრომის კონსტიტუციაში შეტანილი იქნეს ქართული ენა. რა შეიძლება ამ პრინციპიალურ დებულებას საწინააღმდეგოდ წამოუყენო? სრულიად არაფერი. პრინციპიალური მოსაზრება არ იყო წამოყენებული კონსტიტუციაში ენის შეტანის საწინააღმდეგოდ. ჩვენ ყველანი შევთანხმდით, რომ აქ პრინციპიალური სხვა და სხვაობა შეუძლებელია არსებობდეს. ამაში მოწინააღმდეგენი დაგვეთანხმნენ. მაშ რა მოსაზრებით უნდა უარვყოთ ამ მუხლის კონსტიტუციაში შეტანა? საკითხი არსებითად პრაქტიკულს ნიადაგზე სდგება და უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაც ეს პრაქტიკული მოსაზრებანი ჩვენი პოზიციის სასარგებლოდ დადგენ.

პირველი მოსაზრება, რომელსაც გვიდგენენ ამ შემთხვევაში არის ის, რომ თავის თავად ქართული ენა მაინც სახელმწიფო ენად იქნება და რა საჭიროა მისი კონსტიტუციაში შეტანა. მაგრამ ეს საკითხის მიფუჩეჩება არის და არა მისი გადაწყვეტა. „თავის თავად" ბევრი რამ იქნება საქართველოში, ყოველივე ის, რაც შეტანილია კონსტიტუციაში უნდა განვამტკიცოთ, მოწინააღმდეგეთა ლოღიკა რომ ბოლომდე მივიყვანოთ მათი შეტანა სრულებით არ არის საჭირო და თუ რამდენიმე ლოღიკურს ნაბიჯს კიდევ წინ წავდგამთ ამ ხაზით, ჩვენ კონსტიტუციის უარყოფამდე მივალთ. ეს კი სრულიად მიუღებელი და დაუშვებელია. საქართველოში ენის საკითხი არ სდგას ისე, რომ მისი „თავის თავად" გადაწყვეტით დავკმაყოფილდეთ. ჩვენში ენის საკითხმა მწვავე ხასიათი მიიღო. სასტიკმა ისტორიულმა ცხოვრებამ ჩვენს ენას ჩვენივე სამშობლოში დიდი მოწინააღმდეგე გაუჩინა. ეს კონკურენტი არის რუსული ენა, რომელიც ცდილობს გამოდევნოს ჩვენი ენა ყოველს დაწესებულებებიდან. როგორ უყურებთ ჩვენ ამ ბრძოლის პროცესს? რას ვფიქრობთ ქართული ენის მომავლის შესახებ, უნდა შევქმნათ ეს ხელსაყრელი პირობები თუ არა? ვინც საკითხის ასე დასმას გაექცევა, იგი არსებითად ადასტურებს იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია ქართული ენისათვის და არავითარ ზომებს არ იღებს მოუპოვოს მას თავისი შესაფერი პირობები. თუ პრინციპიალურად ქართული ენის სუვერენობა უდავოა, მაშინ ჩვენ პრაქტიკულადაც უნდა გავატაროთ ეს, თორემ სიტყვიერი განცხადება და პრაქტიკული პასივობა საქმეს ვერაფერს შემატებს, და ასეთი პოზიცია მიუღებელიც არის.

ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებით ჩვენ არ გვინდა საქართველოში მოსახლე რომელიმე ერის ენა შევავიწროვოთ და დავჩაგროთ. როდესაც ჩვენ ქართული ენის საკითხს ვსვამთ, არ გვავიწყდება არც სხვა ერის ენა და ვცდილობთ ისინი შესაფერისი უზრუნველყოფით აღვჭურვოთ. კონსტიტუციამ ამ გარემოებასაც უნდა მიაქციოს ყურადღება და ეროვნულ უმცირესობებს მოუპოვოს ნაციონალური განვითარების გარანტიები. საქართველო იმ ოაზისად უნდა გადაიქცეს, სადაც შესაძლებელი იქნება ყოველი ეროვნულ უმცირესობათა კულტურული წარმატება და თავისუფლება.

ასე, რომ ვერც ეს დებულება გამოდგება ჩვენდა საწინააღმდეგოთ. პოლიტიკურად საკითხის ასე დასმა ყოვლად უსუსური და მიუღებელია. ქართული ენა ვერ დაჩაგრავს და არც უნდა დაჩაგროს რომელიმე ერის ენა მაგრამ თუ სხვებს უფლება აქვს თავიანთ უფლებებზე ილაპარაკონ და მისთვის შესაფერისი გარანტიები მოითხოვონ, ასეთივე უფლებას ვერვინ წაართმევს ქართველ ხალხს თავის მიწა-წყალზე, ჩვენი პოლიტიკური ხაზი ამ საკითხშიაც გარკვეული და ნათელია: ის სავსებით მისაღებია საქართველოში მოსახლე ყველა ერების ინტერესების მიხედვით. და ეროვნულ უმცირესობის არგუმენტს ნურავინ წამოაყენებს მისი გასამართლებლად, თორემ [illegible] იმ ტაქტის მოქმედებას ემსგავსება, რომელიც [illegible] ჩვენ [illegible] შეუთანხმოთ.

ამბობენ, რომ რუსეთის საბჭოთა კონსტიტუციაში არ არის შეტანილი სახელმწიფო ენის მუხლი. არც ეს მოსაზრება გამოდგება ჩვენს კონსტიტუციაში ენის შეტანის საწინააღმდეგოდ. ჯერ ერთი რუსეთის კონსტიტუცია ეხება საბჭოთა ნაციონალურ რესპუბლიკებს თავისუფალ ფედერაციის, აქ ერთი სახელმწიფო ენის შესახებ შეუძლებელი იყო ლაპარაკი; მეორე—რუსეთში ენის საკითხი არ სდგას მწვავედ და იქ მას არავინ ემუქრება, წინააღმდეგ, რუსული ენა ერთადერთი აგრესიული ენა არის და მან გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა ისტორიულად არა მარტო რუსეთში, არამედ მისთვის სრულიად უცხო ტერიტორიებში და ერებში. რუსეთის მდგომარეობა არ მოითხოვდა ენის საკითხის რადიკალურად დასმას და პოლიტიკურადაც ეს სწორიც არის. მაგრამ ვინც საქართველოს მდგომარეობას ამ საკითხში ადარებს რუსეთის პირობებს, იგი დიდ პოლიტიკურს შეცდომას ჩადის და მხოლოდ განყენებულად მსჯელობს. ჩვენი პირობები და მდგომარეობა სულ სხვა არის რუსეთთან შედარებით და ამიტომ სრულებით დაუშვებელია რუსეთის კონსტიტუციის აქ მოტანა ამ საკითხში. გარდა ამისა რუსეთის კონსტიტუციაში მრავალი რამ არ არის შეტანილი, ზოგი რამ ოთხი წლის გამოცდილების შემდეგ შესასწორებელი შეიქმნა როგორც ეს განაცხადა ამ. ბ. კვირკველიამ თავის მოხსენებაში. თუ სხვა საკითხში ითხოვენ შესწორებასა და დამატებას, რატომ ეს კითხვა არ ითხოვს ასეთსავე პროცესს? ამის გასამართლებელი დებულება ჩვენ ვერ მოგვცა კონსტიტუციის პროექტის დამცველებმა.

როდესაც ამ დებულებებს ეცნობით, გრძნობთ, რომ მერყევსა და გაურკვეველ მდგომარეობასთან გაქვსთ საქმე. [illegible] გადაჭრილი პოლიტიკური ხაზი აქ არ არსებობს. მარტო სიტყვიერი განცხადება, რასაკვირველია, საქმეს ვერ უშველის. საჭიროა საკითხის პრაქტიკულად დაყენება და როდესაც პრაქტიკულს საშუალებას ვეძებთ, ჩვენს ხელისუფლებას [illegible] და გაუბედაობა ეტყობათ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს საკითხი არ არის არც [illegible] და არც გაურკვეველი. მისი ღირებულება ნათელი და გარკვეულია, ჩვენი ხელისუფლების მოვალეობაა ამას ანგარიში გაუწიოს და ქართულ ენას მოუპოვოს თავისი შესაფერი ადგილი—თავისივე სამშობლოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოყმანობა და გაურკვევლობა გამოიხატა საკითხის დაყენებაშიაც. მთავარი საფავთ საკითხი იყო ის, შევიცნოთ თუ არა ენის შესახებ მუხლი კონსტიტუციაში. კომუნისტების შეტანის წინააღმდეგნი იყვნენ. მაგრამ კამათმა საკითხი თითქოს შესცვალა და მას სხვანაირი სახე მისცა.

პატივცემულმა მომხსენებელმა თავის საპასუხო სიტყვაში განაცხადა, რომ „ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმაზე, თუ როგორი უნდა დავასაბუთოთ ეს მუხლი (ენის შესახებ), როგორი ფორმაში ჩამოვაყალიბოთ იგი“.

აქ საკითხი სხვანაირად ისმის. აქ წინასწარ უკვე გადაწყვეტილია ენის შესახებ მუხლის შეტანა. საკითხი ეხება მხოლოდ მის ჩამოყალიბების ფორმებს. ამაზე შეიძლება მსჯელობა და ამ მიმართულებით საკითხი გარკვეულს სახეს ღებულობს.

ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა ავიღოთ … ის გაურკვევლობაზე და ხათალად და გარკვევით ვსთქვათ ჩვენი ნამდვილი გადაწყვეტილება ენის საკითხის შესახებ. საკითხი კი „ტუპიკში“ არის მომწყვდეული გაურკვევ… პოლიტიკის გამო. მისი ამგვარს ყოფაში დატოვება შეუძლებელია. ჩვენ საშუალება გვაქვს, ყრილობის დადგენილების მიხედვით, გაურკვევლობა გავფანტოთ და ვსთქვათ სოციალისტური რესპუბლიკის გადამჭრელი სიტყვა ქართული ენის შესახებ.

სიმონ ხუნდაძე.

# ქართული ჯარი

საქართველოს საბჭოთა ყრილობამ თავის მიერ არჩეულ აღმასრულებელ კომიტეტს დაავალა ჯარის შედგენა.

კომუნისტური პრესაც ალაპარაკდა ჯარის შექმნის შესახებ.

ამ „ამბავმა“ ბევრს „იმედები“ აღუძრა და ნოყიერი ნიადაგი მოამზადა ახალი ჭორებისათვის.

ისე, რომ დღეს თითქმის მთელი საზოგადოების ყურადღება, ჯარის საკითხისაკენ არის მიმართული.

ჩვენ იმ თავითვე მოვითხოვდით ქართველი ჯარის შექმნას და აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნდა მისი დაუყონებლივ დარაზმვა.

ამას ჰქონდა მნიშვნელობა არა მარტო სამხედრო ოპერაციებისათვის, რომელიც არ არის მოულოდნელი ჩვენს მიწა-წყალზე, არამედ ამას ქონდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც ეროვნულ—სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას მისცემდა თავის სახეს და ქართველი ხალხის შემეცნებაში გაქრებოდა „რუსის“ აჩრდილი.

გასულ წელს, ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას აუცილებლად ჰქონდა ანორმალური ხასიათი, რაც გამოიხატებოდა არა მარტო დროებითი ინსტიტუტის აჩქარებულ ნაბიჯებში, არამედ იმასშიაც, რომ უცხო ძალას ეპირა ქართველი ჯარის ადგილი.

თუმცა დაგვიანებით, მაგრამ დღეს მაინც ყველასათვის აშკარა გახდა ქართველი ჯარის შექმნის აუცილებლობა.

მით უფრო საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ ჯარის შექმნას, რომ როგორც საშინაო ისე საგარეო მდგომარეობა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ნორმალურ პირობებს, რომ შესაძლებელი იყოს მხოლოდ ეკონომიურ ფრონტზედ გაძლიერებული ენერგიით სამშვიდო ცხოვრებისათვის ზრუნვა.

არა [illegible] აღვნიშნავს, ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული სტრატეგიული მდგომარეობა რომელიც ქმნის მეტად წინ დახედულ პოლიტიკის წარმოების საჭიროებას. ერთი მხრით თუ საბჭოთა რესპუბლიკები არიან ჩვენ მეზობლად, რომელთა შორის არის სრული სოლიდარობა და არ არის მოსალოდნელი „იარაღის ჟღარუნი“, მეორე მხრით ნახევრად მეგობრული მეზობელი გვყავს ოსმალეთის სახით, რომელსაც არ შეიძლება საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესთა მიხედვით ზომავდეს პოლიტიკურ მოქმედებათა წყობას. მესამე მხრივ სრულიად ანტიპოდი ძალა—ანტანტური ქვეყნების სახით შესაძლებელ მომენტს უცდის, რომ მტკივნეულ ადგილს ჩასცეს მახვილი რევოლიუციონურ ქვეყნებს.

ასეთ პირობებში ჯარი, უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს და დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მისი შექმნის საკითხს.

რა თქმა უნდა მოსალოდნელ საფრთხეს ჩვენი რესპუბლიკის ძალები ვერ გაუმკლავდებიან, თუ წინააღმდეგობა ომის ასპარეზზე გაიშალა, მაგრამ ისიც აუცილებლად დიდათ მნიშვნელოვანი იქნება, რომ მშრომელთა საქართველოს, მჭიდრო დასაყრდენი იქნება და თანასწორ ძალებთან მას შეუძლია თანასწორი ენით ლაპარაკი.

ის პოლიტიკური კონიუნქტურა, რომელიც იქმნება დღეს საერთაშორისო პოლიტიკაში საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ არ ქმნის დიდი ბრძოლების გაჩაღების შესაძლებლობას. ვაშინგტონიდან დაწყებული, ვიდრე გენუამდე, აშკარავდება, რომ სამხედრო ფრონტი აუცილებლად ეკონომიური ურთიერთობით შეიცვლება, რასაც დაჟინებით მოითხოვს სასიცოცხლო ენერგიისაგან დაცლილი ორივე ბანაკი.

ეს მთავარი დებულება აუცილებლად გატარდება გენუას კონფერენციის მუშაობაშიაც და ანტაგონისტური ურთიერთობა კომპრომისულ დამოკიდებულებათ შეიცვლება.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს ამ ორი სამყაროს შერიგებას, მათ საბოლოო შეთანხმებას.

პირიქით ეს დროებითი შეთანხმება გენერალური ბრძოლების სამზადისისათვის არის საჭირო, რომლის დროს ორივე ძალა შეეცდება მთელი ენერგიის დაჭიმვას ახალი ბრძოლისათვის.

უნდა ვიფიქროთ, რომ დღესაც პატარა ავანტიურებს ხელს არ შეუშლის ანტანტური ძალა და, პირიქით, კიდეც ეცდება პატარა ავანტიურებით ხელი შეუშალოს საბჭოთა რესპუბლიკების ნორმალურ ცხოვრებას.

ამიტომ სამხედრო ძალას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რომელსაც დღეს უ…ლესად რევოლიუციონური მნიშვნელობა აქვს.

დღეს დაზვერვის პერიოდია მოწინააღმდეგე ძალთა შორის. როგორც ვაშინგტონში ყველა უარს აცხადებდა განიარაღებაზე და შეიარაღების პროექტებს აღგენდა ისე, მეორე ძალაც, საბჭოთა რესპუბლიკებიც, ვერ გაუშვებენ თოფს ხელს და დიდ ყურადღების საგნად გვიხდიან სამხედრო ძალის გაძლიერებას.

საქართველოში აუცილებლად უნდა შედგეს საქართველოს წითელი ჯარი, რომელიც უმთავრესად უნდა ხდებოდეს მობილიზაციის წესით.

მობილიზაციის წესით შედგენილი წითელი ლაშქარი დაანახებს მტერსაც და მოყვარესაც, რომ მშრომელთა ძალაუფლება ქართველი მშრომელის მაჯის-ცემას ემყარება და საქართველოს მუშა და გლეხი არავის „ოპეკუნობას“ არ საჭიროებს. მან იცის თავისი უფლების დაცვა და არავის არ დაუთმობს მშრომელი ხალხის ბედს და სამშობლოს ინტერესებს.

ს.—ელი.

# საბჭოთა რესპუბლიკების [illegible] შესახებ

მოსკოვი. 22 თებერვალს კალინინის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრო წარმომადგენლები აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს, ბელორუსიის, ბუხარის, შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის, უკრაინის და ხივის საბჭოთა რესპუბლიკის. ამ რესპუბლიკების წარმომადგენლებმა, ს. რ. კ. კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად, ხელი მოაწერეს ოქმს აღნიშნულ რესპუბლიკების ინტერესების საერთო ევროპის კონფერენციაზე დაცვის საქმის რ. ს. ფ. ს. ო. გადაცემისა და მიანდვეს რუსეთის რესპუბლიკას მათის სახელით პირობები შეკრას და ხელი მოაწეროს იმ აქტებს, რომლებიც გამომუშავებული იქნება ევროპის მომავალ კონფერენციაზე.

თათბირის ოქმი ასეთია: სრულუფლებიანი წარმომადგენლებმა აღნიშნული რესპუბლიკებისა: აზერბეიჯანის—ალი შირვალი, სომხეთის—ს. ტერ-გაბრელიანი, საქართველოს—მ. ცხაკაია, ბელორუსიის—ა. ჩერვიაკოვი, ბუხარის—ად. ხოჯაევი, შ. აღმოსავლეთის რესპუბლიკის—ნ. მატვეევი, უკრაინის—ხ. პოპოვი, ხორეზმის (ხივის) საბჭოთა რესპუბლიკის—აბ. ხოჯაევი, ხელი მოაწერეს შემდეგ ოქმს: ვმოქმედობთ რა თითოეულ მათ მთავრობების რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის მინდობილობის საფუძველზე და განვიხილეთ რა აღნიშნულ რესპუბლიკების ინტერესების საკითხი მომავალ კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულია უმაღლეს საბჭოს, მოკავშირე და ასოციაციურ მთავარ მყრობელთა მიერ, 1922 წ. 13 იანვარში გადაწყვეტილების თანახმად, დაადგინეს: ვინაიდან ზემოხსენებული დამოუკიდებელი რესპუბლიკები რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკისა ძმურად ძლიერ არიან დაკავშირებული, არამედ მათი უზრუნველყოფისათვის მომავალ კონფერენციაზე მათი ინტერესების დაცვა მიენდოს რ. ს. ფ. ს. რ. აგრეთვე მიენდოს მას შეკრას და ხელი მოაწეროს მათის, 8 რესპუბლიკის სახელით, როგორც ამ კონფერენციაზე გამომუშავებულ აქტებს, აგრეთვე ყოველგვარ საერთაშორისო პირობებს, რომელიც უშუალოდ თუ არა პირდაპირ დაკავშირებულია კონფერენციასთან და მიიღოს ყოველი აქედან გამომდინარე ნაბიჯები, რომლის დასამოწმებლად აღნიშნულ რესპუბლიკების წარმომადგენლები ხელს აწერენ ამ ოქმს და სვენ მასზე თავიანთ ბეჭდებს. მოსკოვი. კრემლი. 1922 წ. თებ. 22.

მ. ი. კალინინის განცხადება. ქვემორე ხელის მომწერი ს. რ. ც. ა. კ. თავმჯდომარე თანახმად სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ მოცემულ საფუძვლებზე მომქმედმა არაჩვეულებრივ სესიაზე 1922 წ. თებ. 27., კმაყოფილებით იღებს რ. ს. ფ. ს. რ. სახელით ამ ოქმით დამტკიცებულ და საბჭოთა რესპუბლიკების ინტერესების გამომხატველ მინდობილობას მოკავშირე და მოძმე რესპუბლიკებისაგან. რუსეთის რესპუბლიკების მთავრობა მიიღებს ყოველგვარ ზომას იმისათვის, რომ მასთან მჭიდროთ დაკავშირებულ მოძმე რესპუბლიკის ინტერესები საკმაოდ დაცულ იქმნას კონფერენციაზე. რუსეთის მთავრობა ადევნებს თვალყურს, რომ დელეგაციამ, რომელიც იქნება არჩეული რუსეთის სახელით, გამოხატოს და დაიცვას ინტერესები რუსეთის და მასთან დაკავშირებულ მოძმე რესპუბლიკებისა მომავალ კონფერენციაზე და დროზე აცნობოს მოძმეთა რესპუბლიკის მთავრობებს კონფერენციის მუშაობის მსვლელობა.

# თურქული პრესა

სტამბულის გაზეთ „იკდამში“ „ანგორა“-ს სათაურით დაბეჭდილია შემდეგი:

„მუსტაფა ქემალ ფაშის მიერ გამოთქმული პოლიტიკური მოსაზრება საკვებით გამოხატავს მთელი ანატოლიის მისწრაფებას. და ამ საგანზე ლაპარაკიც ზედმეტია, ვინაიდან დღევანდელი სისტემა ანატოლიის წესწყობილებისა ცხადია და ნათელი, როგორც ამას განმარტავს თავის მოხსენებაში მუსტაფა ქემალ ფაშა. და სწორედ ამ წესწყობილების სისტემის შემოღებისა არის, რომ ხალხმა იქვე თავის წარმომადგენლობის საშუალებით უნდა მოაგვაროს თავისი საქმე და ცხოვრება, რომელსაც იურიდიულად ეწოდება დემოკრატიული სისტემა.

ჩვენ ეს სისტემა ცხოვრებაში ვერ გავატარეთ.

კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტმაც ვერ შესძლო დემოკრატიული სისტემის ცხოვრებაში გატარება. ჩვენ ამით ის კი არ გვინდა ვსთქვათ, რომ მათ არ მოისურვეს დემოკრატიული სისტემის ცხოვრებაში გატარება. არა, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ რომ მათ ასეთი სისტემის ცხოვრებაში გატარებისათვის აკლდათ შემოქმედებისა და შემეცნების უნარი.

ანგორის დიდი ეროვნული ყრილობის საქმიანობაში ვხედავთ დემოკრატიული სისტემის ცხოვრებაში გატარების ცდას. ამას დიდი ეროვნული ყრილობის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების შეერთება გვიჩვენებს, რომლის საშუალებით სახელმწიფოს ძალა-უფლება გადადის ხალხის ხელში. ჩვენც ასეთი დემოკრატიული სისტემის შემოღება გვინდა სწორედ ვინაიდან, მთავრობის სახელით ჩადენილი უსამართლობა, დაუდევრობა და ადვილ აშვებული მტარვალობა დღითი დღე ძლიერდებოდა. ხალხს კი თავისი მდგომარეობისა არა ესმოდა-რა. „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტმაც თავისი თავი ამ სიბოროტისაგან ვერ გაინთავისუფლა და მეტად მნიშვნელოვან და საბედისწერო საქმეებშიც ხალხისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა, და მას არ გეკითხებოდა. ეს ძველი ზნე-ჩვეულების ნაყოფი იყო. მაგრამ ანგორელები კი ქვეყნის პატარა საქმეებშიაც ხალხთან დამოკიდებულებას იჩენენ. ანგორის ყრილობა, სტამბოლში მოწვეულ ყრილობებს სრულიად არა ჰგავს მიტომ, რომ სტამბოლის ყრილობები, ცხოველებივით მათ გარეშემო შემოვლილ ხაზის გარეშე ვერ გამოდიან.

როდესაც ხალხი თავის საქმეს თვითონ მოაგვარებს, ნაყოფსაც დაინახავს. ჩვენ ძველი წესწყობილების სისტემა გვახსოვს. ეს პოლიტიკა კი არ იყო, არამედ მლიქვნელობა და თვალთმაქცობა იყო. შემდეგ გაზეთი ეხება ძველი წყობილების უარყოფით მხარეებს და აღნიშნავს: წინად ჩვენს გარეშე მყოფ ზოგიერთ ჯაშუშთა შორის ვიმყოფებოდით ჩაფლული და მარტო ჩვენს თავზე კი არა, მათზედაც ვფიქრობდით. ეროვნული პოლიტიკა არ არსებობდა. დღეს რაკი მარტოკა დავრჩით, იძულებული ვართ საფუძვლიანად ვიფიქროთ ჩვენს თავზე. აწი დასაზოგავი რაიმე ინტერესები არა გვაქვს-რა. სხვა ეროვნებებს საკუთარი ეროვნებით უნდა დაუპირისპირდეთ. და საწინააღმდეგოდ მოქცევა, სიცოცხლეზე ხელის აღებას ნიშნავს.

ძველი ზამების განმეორება ნიშნავს შეკეთებას—შელესვასა და შელებვას. ნამდვილად კი საძირკველი იყო ძველი წყობილების უნიადაგო და ფუჭი. წინათ ფუცხოელებიც ცდილობდნენ გაევერანებ…ბიათ ისევეც ფუჭად აგებული სახელმწიფოს საძირკველი. ჩვენი სახელმწიფოს დიდი ვეზირები კი დიდის ამბებით შელებვისა და შელესვის პოლიტიკას ეწეოდნენ. ანგორის დღევანდელი წესწყობის სისტემა სულ სხვა არის, მიუხედავად მდგომარეობის სირთულისა და სიმწვავისა, ანგორა მაინც სახელმწიფოს უძველ… და სადა საძირკველის ჩაყრას ცდილობს და ეკურხებოდა თვით ხალხს, რომლებად გამარჯვებულია ანგორა ამ ბრძოლაში? თუ მიუკერძოებლად გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ არც ისე მკითხედ არის გამარჯვებული. თუ მას საბერძნეთი დაუპირისპირეს, ეს საქმეში არაფ მისალები. სპარსის საკითხი დრ… ის საკითხია, იმას ისევ თავის დროზე ანგორა გადასწყვეტს.

დღეს საბერძნეთი მზადებ… ვენაში სამ…არო მასალების შესაძენად გადაცემულ თავის აფიცრებს გზავნის. მაგრამ ამ შემთხვევაში დარწმუნებ… ვართ, რომ არც ანგორას სჭირ… …ა თუ ანგორა, არამედ მთელი თურქეთი და მუსლიმანებიც ხელიხელს ჩაკიდებული უნდა მუშაობდნენ. ისეთს დროში არ ვცხოვრობთ, რომ მტრების განზრახვას ყურადღება არ ვადევნოთ. მას რომ გაძლიერებულ ძალასთან ჰქონდა საქმე დღეს, ანატოლია სულ ერთიანად მოსპობილი და გაზიდულ… იქნებოდა. სა ერთიანი მარტო სპარსე…ი არ დაკმაყოფილდებოდა. ანატოლიის საუკეთესო მიწა-წყალი, თურქეთის პოლიტიკურად და ეკონომიურად გამოუსადეგარი ადგილები, გამოგვეცლებოდა ხელიდან მიტომ რომ ძალა, დასაცავი სულიერი და ხორციელი ძალა არ გვექნებოდა. მოწინააღმდეგე პრესის პასუხის საშუალებასაც ყოყმანით მოკლებული. (აქ ხუთი პწკარი არის ცენზურის მიერ ამოშლილი) ვენიზელოსის და სპატრიკის უწყების მიერ დამზადებული საშუალებანი, გამოქვეყნებული საცრუე გაწეული პროპაგანდა, პოლიტიკურის … ბრძოლებანი, გაძლიერებული ძალების ჯოჯოხეთური მისწრაფებანი გამარჯვებით უნდა …

ჩვენი სისუსტის გამო, ჩვენს მიწა-წყალზე შემოსული მტრები … სიტყვებით თავიანთ მიზანს არ გადაუხვევდნენ. მტრების დასაყრდნობი ადგილები ცხადი იყო, სახელმწიფოს სუვერენიტეტის მაჩვენებელი პირველი ბოძი—მმართველობა ალიგვა და მეორე ბოძი—საერთო ძალა აღარ იყო. ამ ორი ძალის შემქმნელი და შემაერთებელი დიდი სულიერი ძალის მქონე პიროვნება აუცილებელი იყო. და აი ამ ძალამაც ანატოლიის მოძრაობაში მონაწილეობის მიმღებ მოწინავე პირთა შორის იჩინა თავი. ეს ძალა არის ღვთის მიერ არჩეული ძალა. ზოგიერთ პიროვნებაში ასეთი არაჩვეულებრივი ძალა არის ჩასახული.

ყოველი ერის ისტორიაში ასეთი არაჩვეულებრივ ძალების მქონეთ ნაკლებად შევხვდებით.

და ამ ძალების სულიერ სიმდიდრეს მოკლებული ერი დაიღუპება, მოისპობა. ისტორიაში მსგავსი ასეთებისა ბევრი ნახულა.

ჩვენი მომავლის იმედები საბერძნეთზე გამარჯვებაზე უფრო შორს მიდის. საბერძნეთის ეკონომიური მდგომარეობა ისე ცუდი და გაფუჭებული აქვს, რომ მათი გამოსწორებისათვის მათ დიდი დრო და ძალი დასჭირდებათ. ჩვენი ეკონომიური ნიადაგი კი ბევრზე მეტად არის უზრუნველყოფილი. საბერძნეთისათვის ახალი გეოგრაფიული მდგომარეობის შექმნა უფრო სახიფათო არის. ვენიზელოსმა სთქვა ფრაზა:—საბერძნეთისათვის დიდი უბედურება იქნებაო, აგრეთვე მას სმირნის დაჭერაც არ უნდოდა, მაგრამ მასში არაჩვეულებრივი ბედის გადიმებით ელინურ იდეებს თავის პრინციპით ანაცვალა და საბერძნეთი სახიფათო საქმეში გაება. როგორც ყველამ იცის, თვითონ ბისმარკსაც არ უნდოდა, რომ ელზას-ლოთრინგისათვის შეეხო ხელი. მაგრამ გერმანიის გენერალური შტაბმა სურვილი გამარჯვების თავბრუდამხვევით ხელიდან … ოლქის დაჭერა მოითხოვა. ბოლოს რა მოხდა? ეხლა არის ზოგიერთ გარემოებათა მსგავსი შემთხვევა. როგორადაც იქ გარემოებათა მსგავსი შემთხვევის მიმდინარეობას იცვლის მიმართულებას, ეხლაც უნდა ელოდეთ, შებრუნდება. აი ეს მიმ…არეობა ანატოლიის მოძრაობამ შესცვალა. ვენიზელოსს კი საფუძველი … თუ თურქეთს შორის რაიმე მორალური მოძრავი ძალა დაიბადებოდა, ამას არ ფიქრობდა. იგიც ზოგიერთებსავით იყო დარწმუნებული, რომ თურქებიც მორალურად დაცემის გზით არიან მიპყრობილნი, მოდუნებულია მათი ისპაჰა და დეგენერაციის პროცესს განიცდიანო. ამიტომ მას თურქების მოსპობა სურდა მიეღო.

მის წინაშე წამოყენებულ დოვლათის სიდიადემ მას თავისი ანგარიში დაუბნია. მას სურდა ანგორა შეცდომაში შეეყვანა და ამ…სათვის სხვა და სხვა ხრიკებს მიმართავდა, მაგრამ ანატოლია კი ყველა ასეთებს მხოლოდ ირონიით შეხვდა და მომავალშიაც შეხვდება“.

# სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა

(მეშვიდე სხდომა მარტის 2-ს)

სხდომას ხსნის თავმჯდომარე მამულია.

ბ. კვირკველია კითხულობს კონსტიტუციის ტექსტს ქართულ ენაზე, რის შემდეგ იხსნება კამათი.

კამათში მონაწილეობას ღებულობენ ამხ. ნ. ცერცვაძე, ცინცაძე, ს. ხუნდაძე და თ. კალანდაძე.

## ამხ. სიმ. ხუნდაძის სიტყვა

ამხანაგებო! ის მოხსენება, რომელიც აქ ამხანაგმა წარმოგვიდგინა, არსებითად ღრმად მნიშვნელოვან საკითხს ეხება. ის სამ ძირითადს ნაწილად უნდა გავყოთ. ერთი ნაწილი შეეხება არსებითად ჩვენი ახალი წყობილების პოლიტიკურ ფორმას, საბჭოთა სისტემას, მეორე კითხვა, რომელიც ჩვენ წინ წამოიჭრება, არის ის საკითხი, თუ რამდენად შეეფერება საქართველოს სოციალურ წყობილებას, მის სოციალურ კლასთა დამოკიდებულებას საბჭოთა სისტემა. მესამე კითხვა არის კონსტიტუცია, თუ რამდენად იურიდიულად არის იგი ჩამოყალიბებული თავისი შინაარსით, რამდენად გამოხატავს კონსტიტუცია ერთის მხრით—საქართველოს მდგომარეობას, და მეორეს მხრივ იმ პოლიტიკურ წესწყობილებას, რომელიც მოაქვს საბჭოთა სისტემას, მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციას სურს ამ საქ კითხვის შესახებ გამოსთქვას თავისი აზრი—და აღნიშნოს, რომ მოტანის კონსტიტუცია ახალი მოვლენაა საქართველოს ცხოვრებაში, რომ ამით საქართველო თავისი კულტურულ ცხოვრების აღორძინების ახალ ნიადაგზე დგება. ამიტომ მისი კულტურული ღირებულების გამოკვლევა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. მომხსენებელმა ვერ მოგვცა ამ მხრივ დასაბუთებული დებულებები. საბჭოთა სისტემის თეორიული მნიშვნელობა ძირითად იმაში კი არ გამოიხატება, რომ ხალხის დიქტატურას აწესრიგებს, არამედ იმაშიაც, რომ ამ იარაღის საშუალებით შესაძლებელია დიდი სოციალური ტრანსფორმაცია—გარდაქმნა კაპიტალისტურ

წესწყობილებისა და შექმნა სოციალური მეურნეობის. საბჭოთა სისტემა არის ახალი ტიპის სახელმწიფო. ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფო ყველგან და ყოველთვის კლასიური მოვლენაა. ამ ორგანოს თავის შინაარსს, ფორმას და ენერგიის მიდამ აძლევს ის კლასი, რომელიც მის სათავეში მოექცევა. სოციალისტური აზროვნება არსებითად უარყოფს სახელმწიფოს არსებობას კომუნისტური წყობილების დროს. ცხადია, როცა პროლეტარიატი დგება ცხოვრების სათავეში, მან ძველი ფორმა სახელმწიფოსი უნდა მოსპოს და ახალი წყობილების შენებას უნდა შეუდგეს. მაგრამ თუ პოლიტიკურად შევხედავთ საკითხს, დავინახავთ, რომ არის მომენტები, როდესაც პროლეტარიატი იძულებულია პოლიტიკური ძალა-უფლება იხმაროს თავის მიზნის, კომუნიზმის განსახორციელებლად. ჩვენს წინაშე არის გარკვეული ისტორიული პერიოდი, როდესაც კლასიური ომები ხდება, სადაც პროლეტარიატმა უნდა შესძლოს თავისი ძალა-უფლება განახორციელოს და განამტკიცოს. კაპიტალიზმისა და კომუნიზმს შორის არის ხანგრძლივი რევოლიუციონური პერიოდი, რომლის დროსაც ხდება ლიკვიდაცია ძველი წყობილებისა და ნიადაგი ეყრება ახალს სოციალურს ურთიერთობას, აქ იქმნება კაპიტალიზმისა და სოციალიზმის კატეგორიების შერეული ისტორიული სისტემა, რომელიც აუცილებლად უნდა განვლოს რევოლიუციონურმა მოძრაობამ, რომ თავის მიზანს მიაღწიოს. უშუალოდ გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში შეუძლებელია. თავისი შინაარსითა და თავისი პოლიტიკური ღირებულობით საბჭოთა სისტემა არის გამომხატველი მშრომელი ხალხის დიქტატურისა და მისი ბატონობის ასეთს გარდამავალ პერიოდში. ეს არის ფორმა პოლიტიკური ბატონობისა, რომლითაც გადავდივართ კაპიტალისტური მეურნეობიდან სოციალისტურ წესწყობილებაში. ამ ხანაში პროლეტარიატისათვის საჭირო არის ძალდატანება, დიქტატურა. ამ დიქტატურის გარეშე მას არ შეუძლიან არსებობა. დიდებულება ამ სისტემისა იმაში კი არ გამოიხატება მარტო, რომ ის ახორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას, არამედ იმაში, რომ ძალდატანების საშუალებით ის სპობს მოწინააღმდეგე კლასს, და ნიადაგს უყრის ახალ წესწყობილებას, რომელიც თავისი შინაარსით უკლასიური და თავისუფალია ყოველგვარ სახელმწიფოებისაგან. ჩვენ თუ ცალკე როგორც პოლიტიკურ ორგანიზაციას ისე განვიხილავთ საბჭოთა სისტემას, ჩვენ ვერ გამოვარკვევთ მის ნამდვილ ღირებულებას. საბჭოთა სისტემა მარტო პოლიტიკურ ბატონობას არ გულისხმობს, იგი გულისხმობს აგრეთვე ეკონომიურ ბატონობასაც. თანამედროვე ფინანსიური კაპიტალის განვითარება ისეთი ტენდენციით მიმდინარეობს, რომ შესაძლებელი ხდება შეუძლება, შეერთება ამ ორი ძლიერება—პოლიტიკურისა და ეკონომიურის, მაგრამ ევროპაში ეს შეუძლება ვერ მოხდა, იქ მათ შორის დღესაც წინააღმდეგობა არის: საბჭოთა სისტემამ კი შესძლო ამ შეერთების მოხდენა, საბჭოთა სისტემა თავისი შინაარსით აულლებს, აერთებს ეკონომიკას და პოლიტიკას. მარქსი ამბობს პარიზის კომუნის შესახებ, რომ იგი უმშვენიერესი იარაღი არის სოციალური ტრანსფორმაციის მოსახდენად. საბჭოთა სისტემა პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის ეკონომიური დიქტატურაც არის. მხოლოდ მისი საშუალებით არის შესაძლებელი სოციალური წყობილების გარდაქმნა, ძველი საწარმოო ურთიერთობის მოსპობა და ახალის განმტკიცება. აი, ამხანაგებო, როგორ უნდა მივუდგეთ ჩვენ საბჭოთა წყობილებას, საბჭოთა სისტემას. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია ამ თვალსაზრისით უდგება საბჭოთა სისტემას და თქვენთან ერთად აღიარებს, რომ იგი არის ერთად ერთი უძლიერესი საშუალება და იარაღი სოციალური გარდაქმნის მოსახდენად, იგი არის ერთად ერთი გზა კაპიტალიზმის ბატონობის მოსასპობად და სოციალისტური წყობილების დასამყარებლად. გზა პარლამენტარული, გზა დემოკრატიული ჩვენ უარვყავით, როგორც გზა ბურჟუაზიის ბატონობისა და კაპიტალისტური მეურნეობის განმტკიცებისა. ამ თვალსაზრისით ვუდგებით ჩვენ საბჭოთა სისტემას და ვამბობთ, რომ იგი უმშვენიერესი კლასიური ორგანიზაციაა; საბჭოები მჭიდროდ არის დაკავშირებული მშრომელ ხალხთან თავისი ორგანიზაციებით და სოციალისტური დემოკრატია პირდაპირის გზით ავლენს თავის ხელისუფლებას.

თანამედროვე საქართველოს სოციალური წყობილება თავისი შინაარსით გამომხატველი არის მშრომელი კლასის, მშრომელთა არმიის. ჩვენი ერის სოციალური შენობა არ წააგავს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების შენობას. არისტოკრატია კი ხანია მოკვდა, რევოლიუციამ მედგარი მახვილი ჩასცა მას და ქირურგიულის ოპერაციით მოსპო საქართველოს სხეულიდან. ჩვენში არ არის არც მძლავრი ბურჟუაზია. ჩვენში არიან მხოლოდ სპეკულიანტები. თუ პროცენტულად ავიღებთ საქართველოს სოციალურ ძალთა განწყობილებას, იგი შემდეგ %-ში გამოიხატება: საქართველოს მშრომელი მასსა უდრის 90%-ს. თუ ჩვენ საბჭოთა სისტემას შევუფარდებთ საქართველოს მდგომარეობას, დავინახავთ, რომ იგი სავსებით ეგუება მის თანამედროვე სოციალურს შენობას, მის სტრუქტურას. საქართველოს სოციალურ შენობას მშრომელთა კატეგორიები ახასიათებენ, მისი კონსტიტუციაც შრომის საფუძველზე და სოციალურ ფენების შეფარდებით უნდა იყოს აგებული. ამიტომ საბჭოთა სისტემის რადიკალურად განხორციელება შესაძლებელია ჩვენში. როდესაც მენშევიკები, „მემარჯვენე ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები ფიქრობდნენ დამფუძნებელ კრებით, პარლამენტის საშუალებით აეგოთ ბურჟუაზიული პოლიტიკური ფორმა საქართველოს სოციალურ ნიადაგზე, მაშინ ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს წინააღმდეგობა იყო ჩვენი მდგომარეობისა, რომ ეს იყო აშკარა რეაქციონური, აშკარა არაპროგრესიული გზა, დღევანდელი „აქტი" კი ამ მხრივ სავსებით მისაღებია და სრულიად გამოხატავს საქართველოს სოციალურ ყოფას, მის მდგომარეობას. მაგრამ ამასთანავე მე მინდა რამოდენიმე შესწორება შემოვიტანო ფრაქციის დადგენილებით კონსტიტუციაში, ამხანაგმა მომხსენებელმა პირველ მუხლში აღნიშნა, რომ საბჭოთა კონსტიტუციის მთავარი მიზანი არის პროლეტარიატის დიქტატურის დაწესება, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება. მე ვფიქრობ, რომ ეს არ არის მისაღები, მე ვფიქრობ, რომ ასეთი მუხლის შეტანა ყოვლად დაუშვებელია. თუ კი ჩვენ ვეწინააღმდეგებოდით მენშევიკებს, რომელნიც არსებითად ბურჟუაზიის დიქტატურას აწესებდნენ საქართველოში, ჩვენ ისეთივე მხრივ უნდა წინააღმდეგობა გაუწიოთ იმ დებულებას, რომელიც გვეუბნება, რომ საქართველოში უნდა დაწესდეს მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურა. საქართველო თავისი სოციალურ წყობილების მიხედვით წარმოადგენს უმთავრესად მშრომელთა კლასს, რომელთა შორის პროლეტარიატი 2-პროც. შეადგენს. დიდი უმრავლესობა საქართველოში არის მშრომელი გლეხობა. ამიტომ საქართველოს პოლიტიკურს წყობილებას უნდა მიეცეს ისეთი სახე, რომელიც მის სოციალურს მდგომარეობასა და მის პირობებს სავსებით შეეფერება. ეს არის უეჭველი დებულება.

მე მიგითითებთ ფაქტზე სავსებით მისაღები მომხსენებელის წინადადება—ვიდრე რუსეთის გამოცდილებით. ეს გამოცდილება ჩვენი წინადადების სასარგებლოდ დაღადებს. თუ რუსეთში გადაიდგა უკან ნაბიჯი, ეს აიხსნება არა მარტო იმ გარემოებით, რომ საერთაშორისო რევოლიუციის განვითარება წავიდა არა იმ გზით, როგორც ამას ფიქრობდნენ რუსეთის კომუნისტები, არამედ იმითაც, რომ სოციალური მდგომარეობა რუსეთისა მოითხოვდა ახალი პოლიტიკის შემუშავებას. ამ ახალს პოლიტიკას სარჩულად უდევს პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის შეერთებული დიქტატურა.

თავმჯდომარე: ხუთი წუთი დაგრჩათ.

ს. ხუნდაძე: რადგანაც გადაჭრით და უარყოფით ამბობდა, რომ ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც ხელს გვიწყობდა ახალი ეკონომიური პოლიტიკისათვის, ეს არის სოციალური ფენა რუსეთისა, რომ რუსეთი წარმოადგენს არა პროლეტარულს, არამედ გლეხთა სახელმწიფოს უმთავრესად. ამან გვაიძულა შეგვეცვალა ძველი პოლიტიკა და დავადგომოდით ახალ გზას, ახალ პოლიტიკას. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ გარდამავალი პერიოდის დროს საბჭოთა სისტემის შინაარსი სხვა და სხვა ერებში სხვა და სხვა გვარია. რუსეთში არ არის შესაძლებელი მარტო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, რადგან იქ დიდი უმრავლესობა გლეხობაა. ევროპასა და გერმანიაში შეიძლება პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. აღმოსავლეთ ქვეყნებში შესაძლებელია გლეხთა დიქტატურის დამყარება, ეს სავსებით გარკვეულ იქნა ბაქოში აღმოსავლეთ ერების ყრილობაზე.

საბჭოთა სისტემა არის ისტორიულად მოპოვებული მუშურ-გლეხური სახელმწიფოს ფორმა, მის შინაარს საზღვრავს და არკვევს ესა თუ ის დიქტატურა, რომელიც ეყრდნობა კონკრეტულს სოციალურს ურთიერთობას. ეს სოციალური ურთიერთობა სხვა და სხვაობს სხვა და სხვა ქვეყნებში, ამის მიხედვით იცვლება საბჭოთა სისტემის შინაარსიც, გარდამავალ პერიოდის პირობებში.

ამიტომ ჩვენს ფრაქციას სრულის შეგნებით შემოაქვს შესწორება, რომ ნაცვლად პროლეტარიატის დიქტატურისა შეტანილი იქნას დიქტატურა მშრომელი ხალხისა. (ხმაურობა. ხმები: ეს არ შეიძლება). ეს თქვენი ნება არის, მე მოგახსენებთ ჩვენი ფრაქციის აზრს, მე ამით სრულიად არ მინდა იმის თქმა, რომ მშრომელი ხალხის დიქტატურა პროლეტარიატის წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ საკითხი სდგას პოლიტიკურად და თქვენ თუ არ გინდათ წამოეგოთ იმ ანკესზე, რომელიც დაგეგებულია, საკითხი თქვენ უნდა დასვათ პოლიტიკურად და ძალთა განწყობილებას, ფაქტიურს მდგომარეობას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ეს შესწორება მისაღები არის, როგორც პოლიტიკური მდგომარეობის, ისე რეალურ ფაქტების მიხედვით. ჩვენ მარქსიზმის გაყინებულ დოქტრინებით კი არ უნდა ვიაზროვნოთ, არამედ ანგარიში უნდა გაუწიოთ საქართველოს სინამდვილესა და მის განსაკუთრებულ პირობებს.

მეორე ჩვენი შესწორება შეეხება სახელმწიფო კაპიტალიზმის შეტანას კონსტიტუციაში. კონსტიტუცია გვეუბნება, რომ დიქტატურის მიზანი არის სახელმწიფო კაპიტალიზმის საშუალებით სოციალიზმისათვის ნიადაგის შემზადება. უპირველეს ყოვლისა ჩვენ გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ დიქტატურის მიზანი არის კაპიტალიზმის მოსპობა და სოციალისტური წესწყობილების შექმნა. სახელმწიფო კაპიტალიზმი სრულიად ახალი სიტყვური არის დიქტატურის, ეს მხოლოდ მომენტი არის და რათ გინდათ იგი ბაზამენტით შეიტანოთ კონსტიტუციაში და დაამუშავოთ, როგორც ერთად ერთი აუცილებელი გზა სოციალიზმისაკენ...

თავმჯდომარე: თქვენი დრო გათავდა. (ხმები: გაუგრძელეთ, გთხოვთ)

ამხ. ხუნდაძე: ამხანაგებო, მეორე მუხლი, რომელშიაც ჩვენ შეგვაქვს შესწორება, ეხება იმას, რომ კონსტიტუციაში შეტანილი არის ისეთი მომენტი, რომელიც არსებითად არ გამოხატავს პროლეტარიატის დიქტატურის შინაარს. კონსტიტუციაში არის აღნიშნული, რომ თითქოს პროლეტარიატის დიქტატურა სახელმწიფო კაპიტალიზმის გზით ძიდის სოციალიზმის განსახორციელებლად. ჩვენ გულდასმით უნდა ავწონ-დავწონოთ ეს დებულება. სახელმწიფო კაპიტალიზმის მცნება გამოურკვეველი ცნება არის. იგი მხოლოდ უკანასკნელ ხანებში წამოიჭრა რუსეთში. მისი შინაარსის გარკვევა არ არის დამთავრებული. ფორმა სახელმწიფო კაპიტალიზმისა ჩვენ არ გვაქვს ევროპაში. ჩვენ იქ გვაქვს მონოპოლიური კაპიტალისტური ტრესტები, მაგრამ დამთავრებული სახელმწიფოს კაპიტალიზმი არა გვაქვს. ეს ჩვენ მოგვცა რუსეთმა, სადაც წარმოება და მეურნეობა მოქცეული არის სახელმწიფოს ხელში. ამის შესაფერისს ტერმინს წარმოადგენს წარმოების ნაციონალიზაცია და სოციალიზაცია, მაგრამ გარდამავალ პერიოდის აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს სახელმწიფო კაპიტალი, მისთვის საჭიროა მხოლოდ მონოპოლიური მსხვილი წარმოება; ეს აუცილებელი საფუძველია, რომელზედაც შესაძლებელია აშენდეს სოციალისტური მეურნეობა. გარდა ამისა, გარდამავალ პერიოდში მუშავდება ახალი სისტემიური ფორმა მეურნეობისა, რომელიც წარმოადგენს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის კატეგორიების შერეულ ფორმაციას. აქ კაპიტალიზმზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ სრულიად ახალს ეკონომიურს სისტემაზე. ამიტომ სახელმწიფო კაპიტალიზმის კონსტიტუციაში შეტანა არსებითად მიუღებელია გარდამავალი პერიოდის საზომით. თუ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ სოციალიზმი შესაძლებელია მხოლოდ მსხვილ მონოპოლიური წარმოების ნიადაგზე, ეს გარკვევით უნდა ვთქვათ და არ შევიტანოთ ისეთი რამე, რაც აბნევს საკითხს.

აქ არსებითად აღძრული არის ერთი უდიდესი საკითხი სოციალიზმისაკენ მიმავალ საშუალებისა. ჩვენ ვიცით ამ შემთხვევაში ორი გზა, ერთი მშრომელთა დიქტატურის საბჭოების ფორმები და მეორე დემოკრატიზმის გზა, აი სწორედ ეს მთავარი დებულება უნდა იყოს გამოხატული კონსტიტუციაში. უნდა იყოს აღნიშნული, რომელ გზას ვირჩევთ: დემოკრატიზმის გზას თუ საბჭოთა დიქტატურის გზას. მე ვფიქრობ, რომ ასეთნაირად დასმა საკითხისა ჩვენი მტრებისათვის სადემაგოგიო მასალას მოგვცემს, ისინი იტყვიან: აი ხედავთ მთელი ყრილობა აწესებს სახელმწიფო კაპიტალიზმს, იმ არსებითად აგებულია მშრომელთა კაპიტალიზმს, რომელიც ექსპლოატაციაზე. ამ გვარად ჩვენ გვაქვს გათვალისწინებული, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმის კონსტიტუციაში შეტანა არ იქნება მიზანშეწონილი, არ იქნება არსებითად გარკვევა საკითხისა და რაც გვინდა ჩვენ იმის თქმა რაც არ შეადგენს პროლეტარიატის დიქტატურის არსებით მიზანს? მშრომელთა დიქტატურის მთავარ მიზანს შეადგენს კაპიტალიზმის აღმოფხვრა და შექმნა სოციალისტური კულტურისა, რა გზით, რა საშუალებით, ეს უკვე პროგრამის საკითხია, რომელიც შეიძლება არ იყოს შეტანილი კონსტიტუციის ძირითად დებულებებში. სახელმწიფო კაპიტალიზმი შემთხვევითი მომენტი არის მუშათა კლასის დიქტატურისა და მისი დაწესება კონსტიტუციაში ყოვლად მიუღებელია.

მესამე უმთავრესი საკითხი, რომელზედაც მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება ეს არის ენის საკითხი. ამხანაგებო, მომხსენებელმა საუბედუროდ არ მოგვცა გარკვეული პასუხი ამ საკითხზე. რას ნიშნავს ასეთი დიდი საკითხის ასე მიტოვება, ენის საკითხი ჩვენთვის კულტურის საკითხი არის. მშრომელთა მასამ, რომელიც აწესებს თავის დიქტატურას გარკვევით უნდა სთქვას თავისი გადაწყვეტილება ენის შესახებ. შეიძლება ენის საკითხი რუსეთში არ წამოიჭრას ისეთი სიმწვავით, როგორც საქართველოში; აქ ისეთი მდგომარეობაა, რომ მასისათვის ენის საკითხი არის უმთავრესი. კულტურის საკითხი და მშრომელი ხალხი, რომელიც მთელ თავის მომავალს კულტურაზე აყენებს, ენის საკითხს ვერ დასტოვებს ამ მდგომარეობაში. კონსტიტუციაში-კი ამის შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი. რა მოსაზრებით შეიძლება ასეთი საკითხის მიტოვება? შესაძლებელია, ამხანაგებო, რაიმე კოსმოპოლიტური ილიუზიები გვაშინებდეს, თითქოს ჩვენ მოველოდეთ ერების გადაგვარების მოსპობის შესაძლებლობას, მაგრამ ამ სენით არავინ არის დაავადმყოფებული აქ. პირიქით, ალბად თქვენ ყველანი ფიქრობთ, რომ ეროვნული კულტურის არსებობა არ ეწინააღმდეგება სოციალიზმის და კომუნიზმის არსებობას. შესაძლებელია წამოაყენონ მეორე მოსაზრება, პოლიტიკური, რომ საქართველოში სცხოვრობენ მრავალი სხვა და სხვა წვრილი ერები, რომელნიც ლაპარაკობენ სხვა და სხვა ენებზე და ამიტომ ქართული ენის სახელმწიფო ენათ გადაიქცევა დაარღვევს სხვა ერის ინტერესებს. მაგრამ საკითხის ასე დაყენება არ არის პოლიტიკურად საკითხის დაყენება. მე ვფიქრობ ქართული ენის სახელმწიფო ენათ გამოცხადება მისი სუვერენული უფლებაა. ეს არ ნიშნავს რომელიმე ენის ჩაწიხლვას საქართველოში, არც ერთ ერის ენას არ უნდა ექნეს ზიანი მიყენებული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოველ ერს: რუსს, აბხაზს, სომეხს და სხვას უნდა მიეცეს საშუალება თავის ენაზე გამოსთქვას თავისი მისწრაფებანი, ყოველი ერი დაადგეს თავის საკუთარ კულტურის გზას, ამისათვის ჩვენ კონსტიტუციონალური გარანტიები გვაქვს მათთვის, მაგრამ ეს არსებითად არ უარყოფს იმას, რომ საქართველოში სადაც 75 პროც. ქართველები არიან, სახელმწიფო ენათ იყოს ქართული ენა. ამ მხრივ ყოვლად მიუღებელია, რომ კონსტიტუციაში არ აღვნიშნოთ სახელმწიფო ენათ ქართული ენის გამოცხადება. მით უმეტეს, რომ დღეს ისეთი სადემაგოგიო ფანდები არის გავრცელებული მემარჯვენე ჯგუფებისაგან, რომ თითქოს კომუნისტები ცდილობდნენ ქართულ ენის აღმოფხვრას, ამგვარად მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია ნათლად და გარკვევით მოითხოვს, რომ კონსტიტუციაში შეტანილი იყოს მუხლი ქართულ ენის სახელმწიფო ენათ გამოცხადებისა. ეს არ ეწინააღმდეგება არც ერთ ერის ინტერესს, არ ეწინააღმდეგება მუშათა კლასის დიქტატურას და მის უმთავრეს მიზანს.

ამხანაგებო, ჩვენმა ფრაქციის წარმომადგენელმა გარკვევით აღნიშნა, რომ ამ დიადი აქტით ქართველი ერის ცხოვრებაში იწყება ახალი ისტორიული მოვლენა. ამდენ ხანს საქართველოს ცხოვრებას, მის პოლიტიკურ გეზს განაგებდნენ გაბატონებული პარტიები და კლასები, მაგრამ დღეს საბჭოთა სისტემის წყალობით, რომელიც არსებითად დაახლოვებულია ხალხთან, პოლიტიკურ სარბიელზე გამოდის და ერის მომავალს—მის ბედს განაგებს ის [illegible], ის კლასი, რომელიც ამდენ ხანს დაჩაგრული იყო. ჯანსაღ კლასის სოციალურ ასპარეზზე გამოსვლა ნიშნავს ერის გაჯანსაღებას, მე ვფიქრობთ, რომ საბჭოთა სისტემის შემოღებით იწყება ქართველი ერის გაჯანსაღება და ამიტომ, მთელი ჩვენი ენერგიით ჩვენ ვიქნებით იმ ხელისუფლებასთან, რომელიც ხელს შეუწყობს ჯანსაღ კლასს, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას და მით ჩვენი კულტურის განვითარებას და აყვავებას.

ამხ. ს. ხუნდაძეს უპასუხებს თ. კალანდაძე და თვით მომხსენებელი თავის საბოლოო სიტყვაში.

თავმჯდომარე ამხ. სტურუა: ამხანაგებო, შემოსულია წინადადება: კონსტიტუციის პროექტი მიღებული იქნეს როგორც საფუძველი, ხოლო ესა თუ ის დამატებანი და შესწორებანი შეტანილ იქნეს შემდეგში საკონსტიტუციო კომისიაში, რომელიც განიხილავს მას და საბოლოო ტექსტს გამოაქვეყნებს.

თავმჯდომარე: მე კენჭს ვუყრი: კონსტიტუციის პროექტი საფუძვლად იქნეს მიღებული, ხოლო აღძრული საკითხები კი გადაცემული იქნეს საკონსტრუქციო კომისიაზე. ვინც არის ამ წინადადების მომხრე, გთხოვთ ასწიოთ ხელი. წინადადება მიღებულია.

თავმჯდომარე: განცხადება აქვს ამხ. საბაშვილს.

საბაშვილი: მიღებულია მისასალმებელი დეპეშები ზუგდიდიდან, სტეფანწმინდიდან, ფოთიდან, ხაშურიდან, ქუთაისიდან, ვანიდან, თიანეთიდან (ტაში) და ცაგერიდან.

თავმჯდომარე: მოსკოვის მოსწავლე ახალგაზრდობის მილოცვას ხელს აწერს როგორც თავმჯდომარე მიხა ცხაკაია (ტაში). მიღებულია მისასალმებელი დეპეშა აგრეთვე ჰინჩაკისტების პარტიისაგან.

## საქ. საბჭოების აღმასკომის სხდომა

7 ამ თვეს სახალხო თეთრ დარბაზში შესდგა საქ. საბჭოთა პირველი ყრილობის აღმასკომის სხდომა.

აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ფ. მახარაძე, მდივნად თედორე კანდელაკი. აღმასრულებელმა კომიტეტმა აირჩია პრეზიდიუმი 15 კაცისაგან შემდგარი, რომელშიაც შედიან ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლებიც.

პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ ფ. მახარაძე. შემდეგ კრებამ ერთხმად აირჩია მთავრობა შემდეგი შემადგენლობით.

მთავრობის თავმჯდომარე—ბუდუ მდივანი,
მისი მოადგილე—მ. ოკუჯავა,
საგ. და ფინ. კომ. ალ. სვანიძე,
უმაღ. სამ. საბჭოს—მ. ტოროშელიძე,
სწავ. გან. კომ.—მ. ორახელაშვილი,
სამ. კომისიის თავმჯ.—კ. ცინცაძე,
იუსტიციის კომ.—ს. ქადთარაძე,
მიწათ-მოქმ. კომ.—ფ. მახარაძე,
სასურ. კომ.—ალ. ერქომაიშვილი,
მუშათა და გლეხთა ინსპ. კომ.—ქოქიაშვილი,
სამხედრო კომ.—შ. ელიავა,
შრომის კომ.—ლ. დუმბაძე,
(შინაგან საქმეთა კომისრის ადგილზედ არ არის დასახელებული ჯერ კანდიდატი).

კრებამ აირჩია 25 კაცი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციაზედ გასაგზავნი, ფედერატიულ კავშირის შეკვრისათვის.

ამასთანავე შ. ელიავას წინადადებით, კრებამ მიიღო რომ მომავალ კონფერენციაზედ წამოყენებულ იქნეს ყარსის ხელშეკრულობის რატიფიკაცია.

## ახალი ამბები

— წითელი არმიის დახმარების კვირა. მარტის 10-დან მთელ ამიერ-კავკასიაში დაიწყება წითელი არმიის დახმარების კვირა. ყოველ რესპუბლიკაში შემდგარია ცენტრალური კომიტეტი დახმარებისათვის. აგრეთვე [illegible]

